მეზობელი: მე ქმარი არა მყავს!

ქმარი: მაშინ სხვა გინმე მიხვდა?

მეზობელი: ჩემი ერთადერთი ვაჟიშვილი იყო!

თან ერთად საზღვარგარეთ ცხოვრობს. ასე რომ სახლში მარტო ვარ!.. ბატონ დოცენტს ჰკითხო, თუ გინდა!

ქმარი: არ არის საჭირო, სიტყვაზე გენდობი!

ქალი: (საყვარელს მეზობელზე) ამის ძაღლს ხომ ახლახანს წერილი წაიღო!

საყვარელი: ჰო, წაიღო!

მეზობელი: ნუ მოიხსენიებთ ჩემს საწყალ ძაღლს ასე დაღვინავად!

ქალი: (საყვარელს) ტანად დიდი იყო, არა?

საყვარელი: არც ისე დიდი, თუმცა, არც პატარა ეთქმოდა, უფრო საშუალო. მაინც რატომ ზეკითხები, შენს სიზმარს ხომ არ დაუკავშირე რამე წაირად?

ქმარი: (ქალს) რა სიზმარზეა საუბარი?

ქალი: ეგ შენი საქმე არ არის!

ქმარი: (მეზობელს) ეხე იგი, ქურაზე ბორში დატოვებული და მაღალია ჩახვედით?

მეზობელი: დიახ, ასე იყო!

ქმარი: მაღალიდან კი მხოლოდ ფორთოხლებს ამოიჭანეთ!

მეზობელი: დიახ, ბატონო!

ქმარი: ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ უცებ ისე ძალიან მოგინდათ ფორთოხალი, რომ გადაწყვიტეთ დატოვებით ბორში ჩართულ ქურაზე და მაღალია ჩახვედით?

ქალი: (ქმარს) თუ არ წახვალ, ფანჯრიდან გადგებები!

ქმარი: გადახტომა ასე ადვილი რომ იყოს!.. სხვა თუ არაფერი, საყვარელი არ დგანებებს! (წერეთულად უკაკუნებს ხელფეხს იატაკზე)

ქალი: თოღონდ, თუ ღმერთი ვწამს, პისტოლეტს ნუ დააპრობ ისე!

საყვარელი: (ქალს) სამწარეულოში გავიდეთ ყავა მომიღვდე!

ქალი: (ხმადაბლა) შენ უკვე წერეთულობას იწვებს და ამკარად ადგილს ვერ პოულობ!

საყვარელი: (ხმადაბლა) არაფერსაც არ ვწერ ვიოლებ!

ქალი: (ხმადაბლა) ჰოდა, მაშინ დამშვიდდი და თავი ხელში აიყვანე თუნდაც მტრის ჯინაზე, კარგი?

საყვარელი: (ხმადაბლა) კარგი.

ქალი: (ხმადაბლა) მიყვარხარ.


საყვარელი: (ხმადაბლა) მეც.

ქალი: (ხმადაბლა) ყოველთვის მიყვარდი, როცა არ გიცნობდი მაშინაც, იმიტომ, რომ ბავშვობიდანვე შეგეგრძნობდი წინასწარ და ვიცოდი რომ შეგხვდებოდი.

საყვარელი: (ხმადაბლა) მეც ვერ ვიყავი. (საყვარელს ხელზე კოცნის).

მეზობელი: (ქმარს) გამიშვით, თუ შეიძლება, მე ხომ თქვენ გიცნობთ!

ქმარი: მართლა?



მეზობელი: მართლა. მე, ჩემი ქმარი და ის ტაქსისტი, რომელსაც იმ დროს მივყავდით, ერთ საქმეში მოსმენებად გადავიდით, დაახლოებით თოთხმეტი-თხუთმეტი წლის წინათ. თქვენ მაშინ უბრალო გამოძიებელი იყავით.

ქმარი: რომელ საქმეზე?

მეზობელი: აი, ქალი რომ გაიტანა სატვირთო მანქანაში.

ქმარი: ვერ ვიხსენებ. კიდევ რამე დეტალი შეგახსენეთ თუ შეიძლება.

მეზობელი: შემთხვევის ადგილზე, უფრო სწორად, გზის პირას საზამთრო იზოვეს, მაგრამ ვერაფერი დაზიანდა, ეს საზამთრო იმ სატვირთოდან ჩამოვარდა, რომელმაც ქალი გაიტანა, თუ სხვა მანქანიდან... სი, კიდევ - დაღუპული სტომატოლოგი გახლდათ... კიდევ ის, რომ საზამთრო მთელი იყო.

ქმარი: გამახსენდა.

მეზობელი: მასპატივით, მაგრამ ძალიან მაინტერესებს, დამნაშავე იპოვეთ?

ქმარი: სამსწაროდ ვერა!

მეზობელი: მე დღესაც მტკიცედ ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ტაქსისტმა სატვირთოს ნომერი კარგად დაიხსება, მაგრამ მოიტყუა, რომ თითქმის ვერ გააჩნია!

ქმარი: შეიძლება, არ გამოვრიცხავ.

მეზობელი: საცოდავი ქალი, ჩემს ხელეში დალია სული.

ქმარი: მახსოვს, მაშინ მითხარით, რომ სამ წუთში თითქმის მთლიანად გაქალაქადით... მოკლედ, ან თქვენ მითხარით, ან თქვენს ქმარმა, შეიძლება სულაც ტაქსისტმა.

მეზობელი: მე ვაფხაღარავდი, მაგრამ ახლა თმები შოღებილი მაქვს.

ქმარი: (ქალს) ამ ახალ ვარცხნილობაში კლეოპატრას გავხარ!

ქალი: (უყვირის) გაჩუმდი!.. არ შეიძლება რომ გაჩუმდე?

ქმარი: (მეზობელს) ალბათ, არ გეცოდინებათ, რომ თქვენი მდგმურის საყვარლის მამაც თავის დროზე მანქანაში გაიტანა.

მეზობელი: მართლა?

ქმარი: თქვენი მდგმურის საყვარელი მაშინ სკოლაშიც არ დადიოდა, მაგრამ კარგად ახსოვს დაკარგული დღე და კიდევ ის, რომ საიდანაც ყვავები მოფრინდნენ და დიხანს ტრიალებდნენ სასაფლაოს თავზე. მას მერე, თუ ყვავი დავსიზმრებთ, იცის, რომ უსიამოვნო სიურპრიზს უნდა ელოდოს. ერთი დღით ადრე, სანამ ჩემს რტებზე გავიგებდი, ისევ ყვავი ნახა სიზმარში. დილთა, ყავას რომ სვამდა მაშინ მითხრა. ვურჩიე, ადამიანობა მოემიზე-ზებინა და სახლში დარჩენილიყო. არ დამიჯერა, მაინც წავიდა სამსახურში და სწორად აშან დამეფეჭა. დასაფეჭებლად წინათაც იქცეოდა, მაგრამ მე არ ვეფეჭებოდი, მაშინ კი რატომღაც დავიჭვდი. საღამოს სახლში რომ დაბრუნდა, მხოლოდ მერე გაახსენდა, რომ იმ დღეს ცხონებული დედამისის დაბადების დღე იყო, არადა, მანამდე არასოდეს დავინწყია!

ქალი: (ქმარს) ვერაფერს იტყვი - მეროქი პოლმის

ორი ხარ! (საყვარელს) ნამო სამზარეულოში დაქვს მოვიდულებ.

საყვარელი: გამდლობ, არ მინდა.

ქალი: როგორ თუ არ გინდა, წელან ხომ შენ თვითონ მთხოვე?

საყვარელი: ჰო, მაგრამ ახლა ჩემი სამზარეულოში გასვლა გაქცევაზე ემგავსება!

ქალი: ნუ სუფულობ, გამომყევი!

საყვარელი: ვერა, ვერ გამოგყევი!

ქმარს ხელიდან ხელგზი უვარდება, აიღებს. თვალს ხუჭავს.

ქალი: (ქმარს) ცუდად ხომ არა ხარ?

ქმარი არაფერს პასუხობს, ქალი კითხვას უმეორებს.

საყვარელი: (ქალს) გაანებე თავი!.. შენ რა, ნერვიულობს მის გამო?!

ქალი: არ მინდა რომ შენს ბინაში რამე მოუვიდეს. ნაქირავებია, მაგრამ მაინც...

საყვარელი: არაფერიც არ მოუვია!

მეზობელი: (საყვარელს) მართლა ცუდად ხომ არა ხარ?

ქმარი: კარგად რატომ უნდა ვიყო?!

მეზობელი: გეცე მართალია!.. ვიცი, ახლა გეწვენებათ, რომ ცნობრება დამთავრდა, მაგრამ დამოვერეთ, რომ ეს ასე არ არის.

ქმარი: ასე არ არის?

მეზობელი: ნამდვილად არ არის. ჩემი რჩევა იქნება - გაუმეოთ თქვენი ცოლი... ჰოდა, მეც გამოვიტოვებ!

ქმარი: (ქალს) ხედავ, თქვენს მზარესა!.. (საყვარელს) გაეფიქრებ კაცი - არადა, წესით, ჩემს მზარეს უნდა იყოს!

მეზობელი: ნუ გეწყინებათ, მაგრამ მე ჩემი აზრი მოგახსენეთ... უფრო სწორად, ის გათხარით, თუ როგორ მოვეცეოდით პირადად მე, თქვენს ადგილას რომ ვყოფილიყავი!

ქმარი: ჩემს ადგილას ახლა ჩემი და თქვენი მტერი იყოს... სათნო ქალი იყო ჩემი სიდედრი. ბღინებს გამოძიებდა ხოლმე. მისი დაკრძალვის შემდეგ, სახლში რომ დაეზრუნდით, თქვენი მდგმურის საყვარელი გამოძიებდა, სასაფლაოზე ისეთი შვერძნება დაეფუტა, თითქმის ყვავები უნდა მოფრინოლიყვნო, ჰოდა, ასე რომ მომხდარიყო, ალბათ, გაგვიფუტებოდა. მერე მთელი ღამე ტირიდა, მხოლოდ დილისკენ დანყნარდა. მანამდე, სანამ დედამისი მეგდარიც გვინა, ვერ ტირიდა - თითქმის ცრემლები დაუშრა. ჩემს დაქრამდე ცოტა ხნით ადრე გარდაიცვალა - აცხონის ღმერთმა. მე და შენ მონათესავე სულისანი ვართო, მეტყოდა. თქვენი მდგმურის მშობლიურ ქალაქში ოთხი წელი რომ ვიმუშავე, უკვე გითხარით?

მეზობელი: მე არა, ბატონ დოცენტს უთხარით!
ქმარი: სიმპათიური ქალაქი გახლდათ. ხალხი - კეთილი და ზრდილობანი. კრიმინალი თითქმის არ ხდებოდა. სიჩუმე და სინყნარე იყო ისეთი, გული მიჩუქდებოდა ხოლმე.

საყვარელი: (ქმარს) რომანტიკოსიც ბრძანებულხარო, ჩემო ბატონო!

ქმარი: მერედა ეს ცუდია?

ქალი: (საყვარელს) გაანებე, რა, თავი!

მეზობელი: (ქმარს, სიტუაცია რომ განმუხტოს) მეც ძალიან მიყვარს სირუმი და სინყნარე.

ქმარი: მაშინ გაზოდის, რომ ჩვენც მონათესავე ხელისაწი ეყოფილყვართ.

მეზობელი: შეიძლება წავიდე?

ქმარი: კიდევ ის არის, რომ თქვენი მდგმურის საყვარელი და მე ორივენი ბავშვობიდანვე ობლები გახლდით. ის უმამოდ იზრდებოდა, მე კიდევ უდედოდ.

მეზობელი: მე წავალ, კარგით?

ქმარი: ორჯერ ვიცავით მინერალური წყლების კურორტზე, სადაც მან მამასთან ერთად ამ უკანასკნელის დაღუპვამდე ერთი თვით ადრე დაისვენა.

მეზობელი: მე წავედი.

ქმარი: წადით.

ქალი: არა, არ წახედე, დარჩით კიდევ ცოტა იახს, თუ შეიძლება.

მეზობელი: კი მაგრამ, რატომ?

ქმარი: (მეზობელს) წადით.

ქალი: არა, დარჩით თუ შეიძლება, თორემ შეიძლება პოლიკოვნიკს წამოუწაროს და სული გაგაფართობინოს... თქვენ კი არა, ჩვენი!

მეზობელი: თქვენ რა, ანას სერიოზულად ამბობთ?!

ქალი: კი, სერიოზულად ვამბობ!

საყვარელი: (ქალს, მეზობელზე) გაუშეი, წაყიდეს!

ქალი: არა, არ გაუშე!

საყვარელი: გაუშეი-შეთქი!

ქალი: არა-მეთი და შორი ახლა!

მეზობელი: მე ზომ ქურაზე ბორში მიდგას!

ქმარი: (მეზობელს) ამ ხუთიოდე წლის წინ ამხანაგი დამეღუპა, ჰოდა, მის დაკრძალვაზე მეორე ამხანაგი დაიკარგა და ვეძებდით. ამ ძებნაში სტომატოლოგიის საფლავს გადავეყვარე შემთხვევით. როგორც კი შევხედე ფოტოს, მაშინვე ვიცანი ჯერ კიდევ შორიდან, იმიტომ, რომ მანამდე ცოტა ხნით ადრე მე ის სიზმარში ვნახე.

მეზობელი: მეც მესიზმრება ხოლმე დრო და დრო.

ქმარი: გვერდით მისი ქალიშვილის საფლავიც იყო. დედის სიკვდილიდან ორი წლის შემდეგ გარდაცვლილიყო ჩვიდმეტი წლის ასაკში, თუ მესხიერება არ მძლავრებოდა. ამ ერთი შეილის გარდა, ცხოვრებულმა, სხვა აღარავინ ჰყავდა.

მეზობელი: რა სამინდობაა, გამბურძნულა კიდევ. კიდევ კარგი, რომ შეილის სიკვდილს ვერ მოესწრო.

ქმარი: მეც ეგრე გავიფიქრე მაშინ და მომინდა გამეგო, თუ რისგან გარდაიცვალა საბრალო გოგო.

მეზობელი: გაიგეთ?

ქმარი: სამწუხაროდ, არა. სულ მაინცდებოდა გამეკითხ-გამოძიკითხა. ისე კი, მაშინ ისიც გავიფიქრე, რომ ყველა საფლავს ქვას უნდა აწერდნენ, რისგან დაიღუპა ესა თუ ის მიცვალებული, თუნდაც ორიოდ სიტყვით. საეკლდებულო უნდა იყოს.

ქმარმა თუ გაასაღა საყვარელი, მეც შევხედე ქმარს, თუ პირდაპირ არა, მინიმუმ მაინც.

მეზობელი: ხუმრობთ?

ქმარი: მე თვითონ არ ვიცი, ამას სერიოზულად ვამბობ თუ ვხუმრობ და, აბა, თქვენ რა მოგახსენოთ?!

საყვარელი ჯიბიდან სიგარეტს იღებს და უყრდებს. ქმარს პისტოლეტი ამოაქვს.

საყვარელი: ან ახლავე მესვრით მაგ პისტოლეტიდან, ამ მე პოლიციას ვიძახებ!

ქმარი: გაბედე და პოლიციის გამოძახებამდე სიგარეტი არ ჩააქრო!

მეზობელი: ზიქნოს, არ გინდათ, გთხოვთ!

ქალი: (საყვარელს) ჩააქრე!

საყვარელი ყოყმანობს.

ქალი: ჩააქრე-მეთქი!

მეზობელი: შეიძლება წავიდე?

ქმარი: მე ნუ მეკითხებით, იმას უკითხეთ! (ქალზე მიუთითებს) ეგ არის აქ დე ფაქტო უფროსი!

ქალი საყვარელს სიგარეტს აართმევს, აქრობს, თვითონ კი თავისთვის აბალს უკიდებს. მეზობელს წახვლას აპირებს - უყურებს ქალს, თითქოს მისგან ნებართვის აღება სურდეს. ქალი ღიზინდება.

ქალი: (მეზობელს, ბრძანების ტონით) ნუ მსეურობთ!

მეზობელი: ნუ მიყვირთ!

ქალი: თქვენ კიდევ, აბაოდა ამ ბინის ფაქტური მფლობელი მე ვარო და, ბრძანებების გაცემას შევეციო!

საყვარელი: არ იკამათოთ!

მეზობელი: (საყვარელს) თქვენ ადგილას საერთოდ არ ამოვიდვით ხმას!

ქალი: რატომ ვითო?!

მეზობელი: იმიტომ რომ ისედაც ჩუმიდა... ბოროტადში!

ქმარი დგება, მიდის მაგიდასთან, სვამს წყალს.

ქმარი: (მეზობელს) მობილური ტელეფონი გაქვთ?

მეზობელი: დიახ, სახლში მაქვს. გინდათ მოგო ტანოთ?

ქმარი: არა, გამდლობთ. (ქალს) შენ კიდევ შესაძლებელია ერთად არ გაბედე იქ დარეკვა, სადაც საჭირო არ არის, გაიგე?!

საყვარელი: მოდი თუ, მოვრჩეთ ამ გულიანარე კომედიას!

ქმარი: მოვრჩეთ - თქვენ როგორ ფინალს მთავაზობთ, ძალიან მაინტერესებს!

საყვარელი: მე არ მეხუმრება!

ქმარი: (ქალს) კიდევ ერთი ჭიქა წყალი მოიტანე, თუ შეიძლება!

ქალი: ისევ გწყურია?

ქმარი: პო.

ქალი: მაშინ შენ თვითონ მოიტანე, ან სულაც სამზარეულოში დალო!

ქმარი: (მეზობელს) იმ შემთხვევისთვის, თუ გადანაცვლებ ჩემს დაბრუნებამდე ნახვიდეთ - კარგად ზრახვებოდა!

მეზობელი: კარგად ბრძანდებოდეთ!

ქმარი: და კიდევ, გირჩევთ თქვენი ფორთოხ-ლები აკრიფოთ და ნაიღოთ!

ქმარი ჭიკტი ხელში სამზარეულოში გადის. ტელევიზორში ჩანს, სანამ ჭიკას აავსებდეს, თუ როგორ კეტავს სარკმელს და ფანჯარას ყველა საკეტით.

მეზობელი ყოყმანობს, ჭკინია, რომ უფორთოხ-ლებოდ არ გაუშვებენ და ბოლოს გადაწყვეტს აკრიფოს ისინი.

საყვარელი: (ქალს) უნდა ნახვიდე!

ქალი: რა?!

საყვარელი: უნდა ნახვიდე, პოლიკოენის მე და-ველაპარაკები!

ქალი: შენ რა, გაგაფიდი - კარგად ვიცი მაგის ხა-სიათი - ეგრევე გაგაგორებს. ჯობია შენ ნახვიდე!

მეზობელი: შეიძლება უფორთოხლებოდ ნავი-დე?

საყვარელი: შეიძლება. ფორთოხლებს მერე და-გიბრუნებთ!

მეზობელი: გამადლობთ, არც მერე მინდა. მო-დით, სამივემ მოვცოცხობთ აქედან?!

საყვარელი: სამივემ?!

მეზობელი: მე ისეიდაც მივიფარე, ბარემ თქვენც ნამოდი, გაერიდეთ ცოცხას! (ქალს) ნრფელი გუ-ლით გირჩევთ, შეიღო, ნამოდით ორივე, პოლიციის მოსვლამდე ჩემს ბინაში ჩავიცვით, რკინის კარი აქვს!

საყვარელი: მე გაქცევას არ ვაპირებ!

მეზობელი: როცა ასეთ მდგომარეობაში ხართ, პირველ რიგში ქალზე უნდა იფიქროთ და მხოლოდ მერე საკუთარ თავმოყვარეობაზე!

საყვარელი: (მეზობელი გვერდით გაჰყავს) იცით რა, მოდით და თქვენ წაიყვანეთ ქალბატონი. მოიფიქრეთ რამე, გაიტყუეთ ბინიდან, მე კიდევ კარს მიგინიდან ჩაკეტიდა, რომ დაბრუნება ვერ შეძ-ლოს!

მეზობელი: მე მაგას არ ვიზამ, იმიტომ რომ, როგორც კი მართოს გნახავთ, პოლიკოენი გაბ-რუნდება და აუცილებლად დაგხვერვით - რაც კი პისტოლეტში ტყვია აქვს, ყველას ერთად დაგახ-ლით!

შემოდის ქმარი, წყლან ჭიკას მაგიდაზე დგამს. ტელევიზორი სკენაზე გადაერთვება.

ქმარი: ნვიშას აპირებს!

ყველანი ფანჯარაში იყურებიან.

მეზობელი: სარეცხიც მაქვს გარეთ დატოვე-ბული, გეფიცებით!

ქმარი: ნვიშის წინ ნატყვიარი მუხლისთავი ამ-

ტკივდება ხოლმე.

მეზობელი: ჩემი ემარიც ეგრე იყო.

ქმარი: იმასაც მუხლი ასტკივდებოდა ხოლმე?

მეზობელი: არა, ცერა თითი მარჯვენა ხელზე - ბავშვობაში მოიტყნა და მას მერე ზემოდნობიარე სენსორივით უშუშავებდა, ნინასნარ გრძნობდა ამინ-დის არევისას.

ქმარი: ახლა სად არის თქვენი ქმარი?

მეზობელი: უკვე აღარ წერია ცოცხლებში!

ქმარი: მიიღეთ ჩემი თანაგრძნობა.

მეზობელი: რომ დაიღუპა მაშინ, უკვე დაშორე-ბულები ვიყავით. ნავიდა ჩემგან, იქირავა თავის-თვის ბინა, სულ რაღაც ერთ თვეში, სააბაზანოში სველ მეტლასზე ფეხი აუცურდა, საფეთქელი უნი-ტასს ჩამოჰკრა და იქვე დალია სული. სულელუ-რად დაიღუპა და ამის გამო ისე შემეცოდა, ისე, რომ მეტი არ შეიძლება! (საყვარელს) ისიც ცაცია იყო თქვენსათვის.

ქმარი: (საყვარელს) თქვენ რა, ცაცია ხართ?

საყვარელი: თქვენ რა, არც აქამდე იცოდით და ვერც აქ შეამჩნიეთ ეს ამბავი?!

ქმარი: არა, არ ვიცოდი და ვერც ახლა შევამ-ჩნიე!

საყვარელი: მდაა... ეს, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურზე მეტიც კია!

ქმარი: გეთანხმებით, მაგრამ ადევნებული ვარ, ხომ გესმით!

მეზობელი: მართალია, ბორში დაბალ ცეცხლზე დაეტოვე, მაგრამ მაინც ალბათ უკვე სულს ღაფავს.

ქმარი: ბორში ამზადებდით თუ უკვე გაკეთე-ბულს აცხელებდით?

მეზობელი: ვამზადებდი... (ქალს) მე ნავალ, კარ-გიით?

ქალი: ნადით!

საყვარელი: ნადით!

ქმარი: (მეზობელს) სანამ სამზარეულოში გი-ყავი ვასული, აქ, ალბათ, ყველამ ერთად მოილაპა-რაკეთ, რომ პოლიციამი დაგვერკათ, ზოდა, თქვენც ახლა სწორად ამისთვის ემზადებით ნასვლას. ასე რომ ვერსად გაგიშვებთ!

მეზობელი: არაფერი მოვილაპარაკია. შემიძ-ლია დავიცოცო!

ქალი: ეგ რომ გვედომებოდა, შენს არყოფნაში პირდაპირ აქედან დაგვერკავდით.

ქმარი: მე გავიგებდი.

ქალი: სააბაზანოში შევიდოდი და იქიდან დაე-რეკავდი!

ქმარი: იმასაც აუცილებლად გავიგებდი, თუ როგორ შეხვიდოდი სააბაზანოში.

ქალი: (საყვარელს) გვაძონმებს - უნდა გავიგოს, მართლა დაგვერკეთ თუ არა. (მეზობელს) ძველთაძ-ველი პოლიციური ხრიკია!

საყვარელი: მეც ეგრე გავიფიქრე.

ქმარი: (მეზობელს) აქ რომ შემოდიოდი, კარი დაკეტეთ?

მეზობელი: არა.

ქმარი: მაშინ ნავალ და დაკეტავ, რომ არავინ შემოგვეხროს დამატებით - სიტუაცია ჩემსა და თქვენს მერე მესამე დაუშაბიფებელ სტუმარს უკვე ევლარ აიტანს... სიტუაცია კი არადა, მოცემული

რეალობა, როგორც მეცნიერები და ინტელიგენტები იტყვიან ხოლმე.

ქმარი შემოსასვლელში გადის. ეკრანზე ჩანს, თუ როგორ ეკეტავს ის კარს და რატომღაც საკეტსაც ათვალიერებს.

მეზობელი: როცა ქვაბიდან მთელი წყალი აორთქლდება, სამზარეულოს ხანძარი გაუჩნდება და ბოლოს მთელი ბინა ცეცხლის ალში გაეხვევა!.. პოდა, გაზღვევინებთ!

ქალი: რა ბრძანეთ?!

მეზობელი: ზარალს აგანაზღაურებინებთ, იმიტომ, რომ თქვენ გამო გაყებთ ამ ხათაბალაში და ჩავეიკეტე აქ, ამ ბინაში!

ქალი: (საყვარელს) ხედავ, როგორი თავხედი!.. არა, ხედავ თუ არა?!

საყვარელი: დამშვიდდი, ძვირფასო!

ქალი: შენ ამ დამშვიდდი და დანყნარდის გარდა არაფერი იცი?!

საყვარელი: დანყნარდი, გთხოვ!

შემოდის ქმარი. ტელევიზორი სცენაზე გადაერთება.

მეზობელი: (ქმარს) როცა ქვაბში წყალი გამოშრება, ბინას ხანძარი გაუჩნდება!

ქმარი: არ გაუჩნდება და საერთოდ, მეექვსება, რომ ქურაზე ბორში დატოვეთ.

მეზობელი: მე თქვენ ახლა წარმოუდგენელი შეურაცხყოფა მომაცენით!

ქმარი: მაპატიეთ, მაგრამ თქვენ თავიდან ბრძანეთ, რომ გული გტკიოდათ.

მეზობელი: დიახ, მტკიავ, მერე რა?!

ქმარი: ის რომ, არანაირად არ გავხალათ გულით ავადმყოფს.

მეზობელი: როგორ ბედავთ?!

ქმარი: მაპატიეთ.

მეზობელი: გასაცარაია პირდაპირ: ჯერ შეურაცხყოფას მაყენებთ, მერე კი ისეთი სახით იხდით ბოდიშს, თითქოს ბილიარდს თამაშობდით!

ქმარი: რატომ მაინც და მაინც ბილიარდს?

მეზობელი: აი, ისევ დამცინით!

ქალი: ალბათ, ყველაფერი ფორთოხლების ბრალია!

ქმარი: რა თქვი?

ქალი: როდესაც ეს ფორთოხლები იატაკზე მიმოიფანტა, მაშინვე რატომღაც ბილიარდის ბურთულებს მივამსგავსე... აი, როცა მოთამაშე ჯობის პირველი დარტყმით გაფანტავს ხოლმე მათ.

მეზობელი: (ქალს) თქვენც აბუჩად მიგდებთ, არა?!

ქალი: არა, გეფიცებით, სწორედ რომ ასე გავიფიქრე!

ქმარი: (მეზობელს) ბილიარდის თავგადაკლული მოთამაშე ვარ - განსაკუთრებით ეს ბოლო ნახევარი ნელია.

მეზობელი: თქვენ ყველანი ერთნაირად არანორმალურობები ბრძანდებით, რა ქმარი, რა ცოლი

და რა ეს ვაჟბატონი დოცენტი. პოდა, განდგამდე გზა გქონიათ!

მეზობელი მტკიცე ნაბიჯებით მიეწარება შემოსასვლელისკენ და გადის. ტელევიზორში ჩანს, როგორ ცდილობს შემოსასვლელი კარის გაღებას, მაგრამ ამაოდ.

ქალი: (საყვარელს) ჩვენც წავიდეთ!

საყვარელი: გაქცევას მთავაზობ?!

ქალი: ხელი მომიკდე, ახლავე, ამ წამს!

ქალი თვითონ მიდის საყვარელთან და ხელს ჩაჰკიდებს, შემოსასვლელისკენ იღებს გეზს, მაგრამ საყვარელი არ მიჰყვება. შემოდის მეზობელი. ტელევიზორში ცარიელი შემოსასვლელი ჩანს.

მეზობელი: კარი გახალისებოდა ჩაკეტილი და გააღეთ, თორემ მეტი აღარ შემიძლია. მეშინია მე აქ ყოფნის, ძალიან მეშინია!.. გემუდარებით, გამიღეთ კარი, თორემ სულ მგონია, რომ აქ ყვავები მოფრინდებიან, როგორც ამ ქალბატონის მამის საფლავზე!

ქალი: როგორ თუ კარი ჩაკეტილია?!.. ეს შენი ოინებია, არა, პოლკოვნიკო?!

ქმარი: არა, მე უბრალოდ მიგკეტე და ურდულით გადავეკეტე, ნეტი არაფერი.

ქალი: ახლავე გააღე კარი!

მეზობელი: გააღეთ კარი და გამიშვით აქედან!

საყვარელი: გაგაჟიდება კაცი!

საყვარელი შემოსასვლელში გადის. ტელევიზორში ჩანს, თუ როგორ აღებს ის კარს პირველივე ცდაზე და უკან ბრუნდება. ეკრანზე ისევ სცენა გვჩვენდება.

საყვარელი: სახელურს უნდოდა მაგრად დაჭაჭვა, ეგ იყო და ეგ!

მეზობელი: სხვათა შორის, როცა ეს ბინა ჩაგაბარეთ, სახელური ნორმალურად მუშაობდა (წახალვას აპირებდა).

ქმარი: (მეზობელს) ერთი ნუთით მოიცადეთ, თუ შეიძლება!

მეზობელი: არავითარ შემთხვევაში!

ქმარი: (ბრძანების ტონით) სდექ!

მეზობელი ბრძანებას არ ემორჩილება, შემოსასვლელის კარისკენ მიდის. ქმარს მისტოლვით ამაოაქვს და ჭერს უზიზნებს, თითქოს უნდა გაისროლოს. ქალი ყურებზე ხელებს მიიდებს და თავს მოჭტუტავს. ამის შემხედვარე მეზობელი ჩერდება და ქმარისკენ ტრიალდება. ეს უკანასკნელი მისტოლვას დაუშვებს.

ქმარი: (ქალსა და საყვარელს) ორივემ ტელეფონები გამორთეთ და კარადაზე შემოდეთ!.. ჩქარა, განიდერთ თორემ დასაწყისისთვის ფეხებს დაგიხვევთ!

ქალი: (საყვარელს) მომეცი შენი ტელეფონი!



ქალი საყვარელს ტელეფონს წაართმევს, ჯიბიდან თაფლს იღებს, ორივეს გამოართავს, კარადსთან სკამს მიიდგამს. ადის სკამზე, ტელეფონებს კარადაზე შემოდებს, ჩამოდის სკამიდან და მიდის საყვარელთან.

ქმარი: (საყვარელს) სკამი დააბრუნეთ ადგილზე!

საყვარელი ბრძანების შესრულებას არ აპირებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამის გაკეთება ქალი მოინდომებს, გადაწყვეტს თვითონ გაისარჯოს.

ქალი: (ქმარს) ძალიან ორიგინალური მეთოდია!

ქმარი: გცდილობთ, როგორც შეგვიძლია!

ქალი: შეინახე ეგ ფიშტი, თუ შეიძლება!

მეზობელი შეტრილდება და ისევ შემოსასვლელისკენ მიემართება. ქმარი პისტოლეტს ისევ ჭერს უმიწნებს. ქალი ისევ ხელებს მიიღებს ყურებზე. მისი შემხედვარე მეზობელი ისევ ქმრისკენ შეტრილდება.

მეზობელი: გამიშვით რა, პოლიკოვნიკო!

ქმარი: ჯერ არ შემიძლია!

მეზობელი: რის გაკეთებას აპირებთ?

ქმარი: თქვენ და ეს უაზრბატონი ცოტა ხნით სამზარეულოში უნდა შებრძანდეთ, მინდა ცოლთან მარტო დავრჩე!

ქალი: მე უკვე აღარ ვარ შენი ცოლი!

ქმარი: მაინც ზედმეტი ნონშეების გარეშე უნდა გელაპარაკო.

საყვარელი: მე ამას ვერ დავუშვებ - მასთან მარტო ვერაფრით დაგტოვებ!

ქმარი: მე მასთან, სანამ თქვენ აქ საკუთარ თავს ჭადრაკს ეთამაშებოდით, ყოველ ღამე მარტო ვრჩებოდი და ვიპოვე ისე იმეცით, არ დავიშლავთ და, ქმრის მოვალეობას აღვასრულებდი. მართლა რომ გყვარებოდათ, ის ახლა თქვენი იქნებოდა და ღამე-ღამობით თქვენი სუნით გაძლებოდა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ თქვენ ის არ გიყვართ!

საყვარელი: ძალიან უზადრუკად კი გამოიყურებით მაგ თქვენი დასკვნებით!

ქმარი: თქვენ ახლა გაჩუმდებით და იმას გააკეთებთ, რასაც გიბრძანებ!

საყვარელი: არც გაჩუმდები, არც თქვენ ბრძანებას შევასრულებ და არც მასთან დაგტოვებ მარტო!

ქმარი: ხომ არ გეჩვენებათ, რომ ზედმეტს კისრულობთ?!

საყვარელი: არა, სულაც არ მენევენება ასე!

მეზობელი: არ იკამათოთ, გთხოვთ!

ქმარი შემოსასვლელისკენ მიდის, გადის. ეკრანზე ჩანს, თუ როგორ ეკეტას ის კარს, შემდეგ კი ჯიბიდან ჯაყვას ამოიღებს და ცალ მუხლზე წამოქილი უჩხირ კედელავებს საკეტს. საყვარელიც შემოსასვლელისკენ მიდის.

ქალი: არ გაბედო იქით წასვლა, ახლავე დაბრუნდი!

საყვარელი: მე მას კინისკვრით გადავჭრე!
ქალი: (ბრძანების ტონით) სდექ!

საყვარელი ჩერდება. შემოდის ქმარი. ტელევიზორი სცენაზე გადაერთება.

ქმარი: კარი ჩაკეტილია და უჩემოდ ვერავინ გააღებს.

ქალი: (მეზობელს) რაღაც მონყოილობა აქვს საკეტებისთვის, ყველა ჯაყვაზე ამონტაჟებს - თავი ისევ მოქმედი ოპერმუშაიკი პიონია.

ქმარი მიდის საყვარელთან, პისტოლეტს საფეთქელზე მიაბჯნებს, მეორე ხელით უჯრკავებს, აიძულებს რამდენიმე ნაბიჯი გადადგას გვერდზე.

საყვარელი: ხელები განიეთ!

ქმარი: რას მელაპარაკებით! (ისევ ხელს ჰკრავს).

საყვარელი: ხელები განიეთ-მეთქი!

ქმარი: რას მელაპარაკებით! (ისევ უჯრკავებს).

საყვარელი: დაიმოკლეთ, ბოლოს და ბოლოს, ხელები!

ქმარი: (უფრო მაგრად ჰკრავს ხელს) რას მელაპარაკებით!

საყვარელი: მოგკლავთ!

ქმარი: თქვენ კი მომკლავთ, მაგრამ მე არ მოვკვდები!

ქმარი კიდევ ერთხელ ჰკრავს ხელს საყვარელს და ამგვარად აიძულებს მას სააბაზანოს კარამდე მივიდეს, ალებს კარს, საყვარელს შიგ შეადგებს, ხურავს კარს და მთელი ტანით აწევს. საყვარელი ცდილობს ტყეულობას თავი დააღწიოს და შიგნიდან კარს ეჯახება. ქმარს კარმდენიმეჯერ შეაქანებს, მაგრამ ის არ ნებდება. რაღის სახელოსნო და იატაკს შორის თავის ხელფეხს გადებს. საყვარელის შემოტევები უფრო სამიში ხდება - ხელფეხში შეიძლება ვერ გაუძლოს.

ქმარი: (მეზობელს) სკამი მომიტანეთ, თუ შეიძლება!

მეზობელს ქმართან სკამი მიაქვს. ის სკამის საზურგეს ხელფეხის მაგივრად მუყუყდებს კარის სახელურს, ხელფეხს ხელში იღებს, პისტოლეტს კი ქმარში გაიჭრებს. ტელევიზორში ჩანს სააბაზანო ოთახი და საყვარელი, რომელიც დროებით მშვიდება და კარს ყურს მიადებს, რათა გაიგოს, თუ რა ხდება მის იქით.

ქმარი: (მეზობელს) დიდი მადლობა.

მეზობელი: არაფრის. მეც უნდა ჩამკეტოთ სადმე?

ქმარი: არა, არ ჩაკეტავთ. უბრალოდ, სამზარეულოში შებრძანდით სულ რამდენიმე წუთით და არ გაბედოთ ფანჯრის ან სარკმლის გაღება, თორემ სიგნალიზაცია ჩაირთვება და მე გაგზარზდება!

მეზობელი: რა სიგნალიზაცია?

ქმარი: მე რომ დავაყენე თქვენს მოსვლამდე.

მეზობელი: ეგეც კარგია, რომ საპირფარეოში

არ მისტურებთ!

ქმარი: სამზარეულოს კარს იქით პატარა დერეფანია, შერე კი უკვე სამზარეულოს ოთახი და სიგნალიზაციაზე რაც გითხარით, არ დაგაგინყდით!

მეზობელი: ის მაინც ეიცო, აქ სად რა არის - რაც არ უნდა იყოს, ამ ბინის ფაქტობრივი პატრონი გახლავართ. მე და ჩემი ქმარი, სანამ ის ბიზნესში წავიდოდა, ამ ბინაში ცხოვრობდით. ფული რომ იშოვა, გვერდითი სამოთახიანი იყიდა, სადაც ახლა მე ვარ, როცა გავიყარეთ, მოვილაპარაკეთ, რომ ეს ბინა მას ეკუთვნოდო. გაყიდვა უნდოდა, მაგრამ ვერ მოახსნრო - დაიღუპა ცხონებული!

ქმარი: ღმერთმა აცხონოს.

ქალი: (ქმარს) ახლავე გამოუშვი პატონი დოცნატი, თორემ საკუთარ ქმედებაზე პასუხს არ გაგებ!

ქმარი: (მეზობელს) ყურადღებას ნუ მიექცევთ, მე მიყურეთ, თუ შეიძლება!

მეზობელი: როგორც მეტყვით, თორემ ისევ გეგონებათ, რომ მე იმპა მხარეს ვარ, სინამდვილეში კი, მოცემულ მომენტში, კატეგორიულად ნეიტრალური ვახლავართ!

ქმარი: ეგრეც უნდა იყო!

ქალი ბოლთას სცემს. ქმარი და მეზობელი მას შეტყუვებენ, თან საუბრობენ.

მეზობელი: ნელა არ მიიტევას - ჩემმა ქმარმა, მას შემდეგ რაც ფული იშოვა, ბილიარდის თამაშზე დაინაწყო, როგორც ყველა სხვა ფულიანმა. თავის ახალგაზრდა საყვარელსაც ეთამაშებოდა რომელიღაც კლუბში!

ქმარი: აი, ზომ ხედავთ!

მეზობელი: თქვენ ზომ გულის სიღრმეში კეთილი ბრძანდებით!

ქმარი: გამდლობთ, რა თქმა უნდა. მას შემდეგ, რაც ბილიარდმა გამიტაცა, საყვარელი არ მყოლია, მხოლოდ ჩემს ცოლს ვეპატივებოდი ხოლმე კლუბში, მაგრამ ის არ მომეყვებოდა.

ქალი: (ქმარს) მე შენ მოგკლავ!.. გეფიცებით, მოგკლავ!

ქმარი: არ მოგკედებ. ბედი მაქვს გეტო!

ქალი: წინასწარ ნუ იკვებნი!

მეზობელი: შვილიშვილები მომენატრა ძალიან და არ მინდა მათ უნახავად მოგკედო!

ქმარი: არაც არავინ გაძალავებ!

მეზობელი: მართლა?

ქმარი: რა თქმა უნდა. შედით, თუ შეიძლება, სამზარეულოში. კარს, თქვენის ნებართვით, ბოლომდე არ მიხეზურავ, რომ სიგნალიზაციის ხმა უკეთ გავიგონო!

მეზობელი: სიგნალიზაციაზე იხუმრეთ, არა?

ქმარი პასუხისგან თავს იკავებს, მეზობელს სამზარეულოს კარამდე მიაცილებს, ხელზე კოცნის. მეზობელი სამზარეულოში შედის. ქმარი კარს ოდნავ გამოღებულს ტოვებს. ამ დროს სააბაზანოს კარს შიგნიდან რაღაც ძალიან მაგრაღ ეჯახება - ეს საყვარელია, რომელიც ამჯერად კარს გამორბენით ეხლება. ტელევიზორშიც ჩნდება კადრი სააბაზა-

ნოდან - მაყურებელს შუქილი-ფაფარი მიაფრთხილავს საყვარლის ქმედებებს.

ქმარი: (ქალს) უთხარი, რომ დაწყნარდეს!

ქალი სააბაზანოს კართან მიდის და აკაკუნებს საყვარელი ფურცელს. ტელევიზორში ჩანს, თუ როგორ მიაღებს კარს ყურს, რის შემდეგაც ეკრანზე ისევ სცენა გამოჩნდება.

ქალი: ძვირფასო, დაწყნარდი, თუ შეიძლება, არაფერი იტყინო!

საყვარელი: (კარს იქიდან) როგორა ხარ, საყვარელო?

ქალი: კარგადა ვარ.

საყვარელი: შენ რა, მასთან მარტო დარჩენა გინდოდა?

ქალი: რა სისულელეს ამბობ?!... ცოტა მოითმინე, კარგი?

საყვარელი: ადვილი სათქმელია მოითმინე, როცა საკუთარ ბინაში ტყვედა ხარ!

ქალი: მიყვარხარ. დრო და დრო მოგიკაკუნებ კარზე.

ქალი კარზე აკაკუნებს, მიდის ფანჯარასთან, იღებს თავის სიგარეტს, უკიდებს.

ქალი: (ქმარს) გისმენ! (ქმარი ჯერჯერობით არაფრის თქმას არ აპირებს). ერთი სული გაქვს, რომ ყველა ერთად მიგვახერხო, არა?!

ქმარი: მგონი, კი!

ქალი: მეზობელიც?

ქმარი: კარგი ქალი ჩანს - ქმრის ლალატი აქვს გადატანილი!

პაუზა.

ქალი: მიდი დაიწყე. თქვი, როგორ ამომიყვანე ჭაობიდან, როგორ გიდულობდი ჩემთვის დაკონსერვებულ შეთისხილს, როგორ დაგყავდი ზღვაზე და ცურვა ვერ მასწავლე, როგორ ვნახეთ ზედიზედ ორჯერ დედოფნები, რომლებიც ბოლოს ძალიან ახლოს მოკვდნენ და ილიმბოდნენ თუ იცინოდნენ კიდევ!

ქმარი: (მავიდასთან ახლოს, სკამზე, ჯდება). ისინი მართლა გედიმოდნენ.

ქალი: ვიცი, რომ ზნედაცემული ქალი ვარ, რადგან ჯერ კიდევ ქმრის ხელში სხვასთან გაგაბი რომანი, მაგრამ მე ეს კაცი შემეყვარდა და შენგან წახლდა ვაპირებდი. ჩანათაც კი შექონდა გამზადებული.

ქმარი: რომელი ჩანათა, ყვითელი?

ქალი: შენ რა, ესეც იცოდი?!

ქმარი: არა. მე ზომ შენს ნივთებში არასოდეს ვიქექებოდი. უბრალოდ, როცა თქვი, რომ ჩანათა გქონდა გამზადებული, გავიფიქრე, რომ ყვითელზე ამბობდი.

ქალი: ზომ გესმის, რომ უკვე შუქილებულია ყველაფრის თავიდან დაწყება?

ქმარი: ჰო, შუქილებულია.

ქალი: შენ ხომ ბევრ ქალს მოსწონხარ.
ქმარი: შეიძლება, მაგრამ მე არ მომწონს ისინი.
ქალი: შენ ამ ბიწის პატრონსაც მოსწონხარ.
ქმარი: მასაც საყვარელი ადამიანისაგან ღალატის გადატანა მოუწია.
ქალი: ჰო, მაგრამ ახლა შენ მოსწონხარ.
ქმარი: არა, ის თავის მოღალატე ქმარს ვერ იფიქრებს და ვერც დაიფიქრებს - ძველებურად უყვარს.

ქალი: (სიგარეტის ნაწიწეს საფერფლეში ავადებს და ახალს უტიფრებს) მართლა ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს იმის გამო, რომ ასეთი შეურაცხყოფა მოგაგენს!

ქმარი: ბევრს ენევი.
ქალი: ჰო, დღეს ბევრს ვწვევი.
ქმარი: გამთენიისას ჩემი ძაღლი დამეწაოხრა.
ქალი: ძაღლი?!

ქმარი: კი, ძაღლი, ბავშვობაში, საფეხში რომ მყავდა ბაბუნაჩემთან, ჯუღბარაში. ათის თუ ვიქსეზი, როცა შემთხვევით მეგობელმა მონადირემ მოკლა - ტურაში აერიო. ჯუღბარაში იმ მონადირის შეძებარ ძაღლთან მეგობრობდა და ზოგჯერ მასთან ერთად მისდევდა სანადიროდ წასულ მეგობრის პატრონს. ორიოდ თვის შემდეგ კი ჯუღბარას მკვლელო ქალაქში მანქანაში გაიტანა. წინა დღით ფეხსაცმელების მაღაზიაში „ტუფლები“ იყიდა, სოფელში რომ ჩაიტანა, აღმოჩნდა, რომ უტყურდა. დილით ისევ ქალაქში დაბრუნდა, უნდოდა ერთი ზომით დიდში გადარეცვალა. ზედ მაღაზიის წინ დაიღუპა. წლების შემდეგ, როცა პირველად დაეჭირონინდი, მე და ჩემი ცოლი, სანამ ჩვენი არ ვიყიდეთ, ეს რომ არის, თითქმის ეკეთ ბიწის გვირაბდით იმ ფეხსაცმელების მაღაზიის გვერდით.

ქალი: შენ ეს ჩემთვის არახიდებს მოგიყოლია.
ქმარი: სამიწელი სანახავი იყო, როცა ჯუღბარასი მონადირე ძაღლისთვის მხარის აბმასა და საღორის კვალიზე დადგომას ცდილობდა - იმის ვაკეთებდა უნდოდა, რისი ნიჭიცა და უხარცე ღმერთის მისთვის არ დაენათლებინა. ბაბუნაჩემი ამბობდა, როგორც ადამიანებში გამოყურევანი ბოლდუ ბრიყვები, ტაკიანასრები და ქარაფშუტები, ისეა ძაღლებში, ჯუღბარას ასაკთან ერთად ჭკუა არანაირად არ მოემატება. ძალიან მინდოდა, რომ ბაბუნას ნათქვამი არ გამართლებულიყო, მაგრამ ჯუღბარასმა სიმწიფის ასაკამდე ვერ მიატანა.

პაუზა.

ქმარი: იმ კორპუსში, სადაც მე და ჩემი პირველი ცოლი სულ ბოლოს გვირაბდით საცხოვრებელს, ერთი რქებადგმული კაცი ცხოვრობდა - მეუღლე დაუნდობლად ღალატობდა, ის კი არაფერს ეტყულებდა. ყველამ იცოდა ამის შესახებ, ბავშვებმაც კი, მან კი არა. ყველას ეცოდებოდა, ის კი დადიოდა ბენდირი - ტიპური მოსიყვარულე ქმარი, რომლისათვისაც მთავარია, რომ თუხანი ჰყოფდეს კარგად. გადიოდა წლები, მეუღლე ისევ ღალატობდა, ის კიდევ ისევ ბენდირი იყო. მერე, როცა მე და ჩემი პირველი ცოლი იმ სახლიდან წაიშვედით, ქალი სიმსივნით მოკვდა. ქმარი დღესაც გლოვობდა, ცო-

ლის საფლავზე ყვავილები მიჰქონდა. მეუღლეს ძაღლებს რატომღაც ძალიან უნდოდათ, რომ მეორედ დაქორწინებულიყო და მისთვის საცოდის ძებნაში იყვნენ. იმან კიდევ სხვა არავინ გაიკია, მარტოობაში გაცილა დარჩენილი დღეები. ისე კი, მე დიდ პატივს ვცემდა, პოლიციელობაზე ვოცნებობდი ბავშვობაში, მეუბნებოდა.

ქმარი: დგება, მაგიდისკენ გზაზე იატაკიდან ფორთოხალს იღებს, მას მაგიდაზე დებს, სებაშ წყალს, ჭიქას ადგილზე აბრუნებს, ფორთოხალს კი ისევ ხელში იღებს, ფანჯარაში იყურება. ტელევიზორში ერთი წუთით გამორჩდება სააბაზანო - იქ საყვარელი ყურით კარს მიკრია. ერთი წუთის შემდეგ იქნაზე სამზარეულოს კედრი გამორჩდება - მეზობელი ბოლთას სცემს, ზოგჯერ ფანჯარასთან ჩერდება, თითქმის უნდა რომ გაალოს, მაგრამ ვერ ბედავს. ბოლოს ტელევიზორი სცენაზე გადაერთება.

ქმარი: (ქალს) შენ რატომ არ გიცვარს ფორთოხალი - არც ამის ყიდვას დაეიზარებდი!
ქალი: (ყვირილით) გეყოფა!

საყვარელი: (ხმა სააბაზანოდან) რა ხდება?!

ქალი: არაფერი არ ხდება! (მიდის კართან, აკაკუნებს) ყველაფერი რიგზე!

საყვარელი: (მიგნოდან აკაკუნებს) მიცვარხარ!

ქალი: მეც მიცვარხარ!

ქმარი: მორჩეს ენაზე ესაუბრებოთ ერთმანეთს?!

ქალი: ბრწყინვალე იუმორი გაქვს!

საყვარელი: რა თქვი, საყვარელო?

ქალი: არაფერი!.. (ქმარს) მეც დამეცხმრა ძაღლი.

ქმარი: ძაღლი დავცხმხრა?

ქალი: გაგვიბეი და ჩვენ წავაღო.

ქმარი: ჩემი ქალიშვილი აპირებდა ჩემთვის თაქსის საქმროს გაცნობას. უფრო სწორად, მე პირველმა გამოთქე ამის სურვილი. უარზე იყო, დღეს კი დაპირეკა და მითხრა, რომ ის და მისი საქმრო კავშირს დასხდომას აპირებდნენ და რომ მეც მეპატივებოდნენ. ვუთხარი, რომ მინეგავს ვლუბულობი. ჩავედი ეზოში, გარაჟიდან მანქანა გამოვიყვანე თუ არა, საბურავი გასკდა. სათადარიოვად დამვეცილე აღმოჩნდა. მინდოდა დამებერა, მაგრამ გადავწყვიტე. გამოვედი ქუჩაში, ჩავეჯექი ტაქსიში და იმის მაგივრად, რომ გადვქნა წასვლიყვი, მოფერს ვუთხარი, რომ იმ სალონამდე მივეყვანი, სადაც შენ მეგულებოდი. უფრო სწორად, ჩავიფიქრე, მოდი, ტაქსისტს სალონის სახელს ვუტყვი და თუ ეცოდინება სადაც არის, პირდაპირ იქ წავაღო, თუ არა - ქალიშვილთან და სახიძოთან-მეცადი. აღმოჩნდა, რომ ტაქსისტმა სალონი კარგად იცოდა. გზაზე ანეკდოტებს მიყვებოდა, მე კიდევ არ ვუარნენდი - მეშინოდა, რომ ერთი მათგანი მაინც აუცილებლად იქნებოდა მეოცნებობად მოულოდნელად დაბრუნებულ ქმარზე და მოღალატე ცოლზე, რომელიც საყვარელს კარდაში მალავს.. ჰო, მართლა, ამ კონკრეტულ შენც ხომ არ გვიმალავ დამატებით კიდევ ვინმეს?

ქალი: როცა გაბრაზებული ხარ, ზოგჯერ იუმორი ძალიან გიბლავდება!.. მითხარი, თუ შეიძლება,

ჩემმა სტილისტმა გამყიდა?

ქმარი: არა. იქ, სალონთან, ქუჩაში რომ ვიდგები და ვფურცობდი, როგორ უყვებოდნენ შენს სტილისტსა და გვერდით მჯდომ კიდევ ერთ კლიენტს მის სტილისტთან ერთად რაღაც სახალისო ისტორიას და იცინოდნენ, რატომღაც სანადიროდ გამოსული ვიყავი მისი მომადგონდა და ჩემი სიზმარიც გამახსენდა. მერე უცებ მივხვდი, რომ არც არასოდეს გვევარებოვარ.

ქალი: ჩემმა უფროსმა გამყიდა?

ქმარი: არა. ახლაც, აქ რომ ვარ, ჯუღბარსი მახსენდება - თავს ზედმეტად ვგრძნობ. როცა პოლიციასი დავიწყე მუშაობა, მაშინაც ჯუღბარსი მაგონდებოდა პირველი თვეები - პოლიციელობა ხომ ჩემ მოწოდება არ იყო. იქ იმიტომ მივედი, რომ სხვაგან წასასვლელი არსად მქონდა.

ქალი: დავიღალე. ძალიან დავიღალე... ეტყობა, მართლაც იწვიმებს, მე კი მიწოდდა, რომ შენს ჯინაზე არ ეწვიმა!

ქალი მიდის სააბაზანოს კართან, უნდა, რომ სკამი მოაშოროს. მასთან ვაჩნდება ქმარიც და ქალს ხელებს გაუკავებს. ქალი უძალიანდება და ბოლოს ერთ ხელს გაითავისუფლებს, რის შემდეგაც ცდილობს ქმარს ხილა გააწნას, მაგრამ ის ასწერებს აქვლავ დაეფუტოს მის ხელს.

საყვარელი: (კარს იქიდან) რა ხდება მანდ?!

ქმარი ქალს ხელს უშვებს. ეს უკანასკნელი გაჭირვებით ითქვამს სულს.

საყვარელი შიგნიდან კარზე აკაკუნებს.

ქალი: ყველაფერი რიგზეა, საყვარელო!

საპასუხოდ თვითონაც აკაკუნებს კარზე. ქმარი იცინის და ისიც აკაკუნებს. ქალი მას ხილას გააწნავს.

საყვარელი: რა ხდება იქ, ბოლოს და ბოლოს?!

ქალი დაცხრება. ქმარი ხელს უშვებს და სააბაზანოს კარზე აკაკუნებს.

ქმარი: (ქალს) ჩვენ ყველანი ძალზე სერიოზულად ვუკაკუნებთ, ხომ იცი! (კიდევ ერთხელ აკაკუნებს) ბატონო დოცენტო, არ გინდათ ფორთოხალი მოგართვათ და პირი გაისველოთ?!

ქალი: (ქმარს) ვის დასცინი, შე არამაზადა?!

ქმარი ბრაზდება, ქალი უკან იხევს, ქმარი მის დევს. ქალი ფანჯრის რაფაზე შეხტება.

ქალი: არ მომეკარო, თორემ გადავხტები!

ქმარი: (ჩერდება) გადახტები, რო?

ქალი: გადავხტები, შენ კი დაგიჭერენ და ჩაგაჟუღებენ.

ქმარი: არ დამიჭერენ.

ქალი: არც იოცნებო - დაგიჭერენ.

ქმარი: დარწმუნებული ვიყავი, რომ შენ ჩემს

სიკვდილამდე ჩემი იქნებოდი. იქ ქალი ბრუნდება, თავს იმის უფლებასაც ვაძლევდი, მეფიცა, რომ თუ ჩემ შემდეგ სხვას დანებდებოდი, მხოლოდ იმიტომ, რომ უჩემობით წვეულ მარტოობასა და სულიერ სიკვრივლს როგორმე გამკლავებოდი - როგორც ეს იწინებებშია, რომელსაც შენ კითხულობ ხოლმე.

ქალი: შენ აქ ჩვენ გვატყურობ, მძევლებად გავართ, ბოლო ინდივიდუალური თავისუფლების აღკვეთა ჩვენს ქვეყანაში მაკცრად ისევება.

ქმარი: (იცინის) ეს ინდივიდუალური თავისუფლება - მაინც საიდან მოიტანე, სულ არ გავხარ პოლიციელის ცოლს. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, თუ გაინტერესებს, ეს დაახლოებით ასე ჟღერს - ადამიანისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა, რომელიც დაკავშირებული არ არის მის გატაცებასთან.

ქალი: ის როგორ ჟღერს რომ უკანონოდ შემოიჭრი ამ ბინაში და პისტოლეტით გვაპინებდი?!

ქმარი: როგორ დაბატკიცებთ, რომ ვამინებდით?

ქალი: მეზობელი დავგიდასტურებს.

ქმარი: არ დაგიდასტურებს - ის მოღალატე მეორე ნახევრებს ვერ იტანს!

ქალი: დადასტურებს - შენ ხომ მას მის საკუთარ ბორშიან და სარეცხთან არ უშვებ!

ქმარი: კარგი, ახლავე ვკითხოთ.

მიდის სამზარეულოს კართან, აღებს მას ბოლომდე და აკაკუნებს. სააბაზანო ოთახის კარდანაც ისმის კაკუნი - ეს საყვარელია.

საყვარელი: რა ხდება, ძვირფასო?!

ქმარი მეორედ აკაკუნებს, ტრიალდება, მიდის სააბაზანოს კართან, რომელზეც შიგნიდან ისევ საყვარელი აკაკუნებს. იმავე მანერით კაკუნითვე პასუხობს ქმარი.

ქმარი: კოდალებივითა ვართ!

საყვარელი: რა თქვით?!

ქმარი: ჰეი, ჩემო ინდივიდუალურო ტყვეო, ხომ არ მოინებინეთ მანდ და, ბოლოს და ბოლოს, ხომ არ მოგიწდათ ფორთოხალი?!

(იცინის) ან იქნებ ქალბატონი მეზობლისთვის გვჯიბოვებ, რომ საკუთარი ბორშით გავიმასპინძლდეთ?!

სამზარეულოდან მეზობელი გამოდის.

ქმარი: (ქალს) აი, ისიც გამოჩნდა.

მეზობელი: (ქალს) თქვენ რა, მანდ დგომა გაძლეს?!

ქალი: ხომ დადასტურებთ, რომ პოლიციენიკი ჩვენ და არა მარტო ჩვენ, არამედ თქვენც, პისტოლეტით გვატყურობდა?!

მეზობელი: ჩაბოდი, თორემ ცუდად ვხდები! (პირველად იწერს).

ქალი: ჩემს კითხვას უპასუხეთ, თუ შეიძლება! **მეზობელი:** ჩვენს კორპუსში ბოლო ორი წლის განმავლობაში ორჯერ მოხდა საშინელი ტრაგედია. პირველად, ერთი ღვთისნიერი პიროვნება დაგვე-

ლუბა. სალმინი კაცი იყო, მოღიმარი, უთოებსა და თრის საშრობებს შეუკეთებდა ხოლმე მეზობლებს უფასოდ. მაშინაც ფანჯარაში მინას სვამდა მეზობელ დედაპირთან, ცოლი კი სამსახურიდან ბრუნდებოდა, ქმარი რომ ფანჯრის რაფაზე შემოსკუპებული დინახა, დაუძახა ქვემოდან და ხელაც დაუქნია. ამაწაც დაუქნია ხელი, წონასწორობა დაკარგა და წავიდა ქვემოთკენ მემვიდე ხართულიდან პირდაპირ. მეორეჯერ კი უფრო დიდი სამხილეება მოხდა, მეგობართან სტუმრად მოსულმა თორმეტი წლის ბიჭმა გადაწყვიტა აივნის მოაჯირზე შემოშვდარი მტრედი დაეჭირა და თავი ვერ შეიძაგრა. მშობლების ერთადერთი შვილი ყოფილიყო, დედამისი ათი წელი ვერ ორსულდებოდა და უცხოეთში მკურნალობის შემდეგ დაფეხმდინდა.

ქმარი: ეს რა საშინელ ისტორიებს ჰყვებით! **მეზობელი:** ყველაფერს ისე მოვეყვი, როგორც იყო!

ქმარი: თარსი კორპუსი ყოფილა. **მეზობელი:** ნება მიეცით თქვენს ცოლს, რომ ჩამოვიდეს!

ქმარი: მე არც მიბრძანებია მანდ ასვლა. **მეზობელი:** აბა, მაშინ რატომ დაგას იქ?

ქმარი: გადაგხტებო, ამბობს. **მეზობელი:** ხომ არ გავგიჟდით?!

ქალი: ახლოს არ მოხვიდეთ! **მეზობელი:** დამშვიდდით, თქვენ შემოგვევლით, გაიხედეთ, აბა, ერთი გარეთ, სიცოცხლე დედს და გადმოედოს, ყოველ დღით მზე ამოდის და გვათბობს, თქვენ კიდევ თავს იკლავთ, რომ საუკუნო უკუნმა მოგიცვათ, არ გრცხვენიათ მაინც?!

მეზობელი: მომენდე, შვილო, ყველაფერი კარგად იქნება, დამიჯერე!.. დიდი გოგო ხარ ანი და უნდა იცოდეს, რომ არა ვართ ჩვენ, ქალები, ბედნიერებისათვის გაცენილები, არა ვართ და რა გინდა ქნა?!.. ბედნიერები თუ არიან, კაცები არიან, სინსილა კი განყდა ამათი ერთ დღეს!.. მომიკდე, შვილო, ხელი, როგორც საკუთარი დედა ისე გთხოვ!

მეზობელი: ფანჯარას უახლოვდება, ატირებულ ქალს ხელს გაუშვდის და თვითონაც გული ურუყდება.

მეზობელი: მომენდე, შვილო, ყველაფერი კარგად იქნება, დამიჯერე!.. დიდი გოგო ხარ ანი და უნდა იცოდეს, რომ არა ვართ ჩვენ, ქალები, ბედნიერებისათვის გაცენილები, არა ვართ და რა გინდა ქნა?!.. ბედნიერები თუ არიან, კაცები არიან, სინსილა კი განყდა ამათი ერთ დღეს!.. მომიკდე, შვილო, ხელი, როგორც საკუთარი დედა ისე გთხოვ!

ქალი: (ქმარს) ახლავე გაშვი, არაშადაე! **მეზობელი:** (ქმარს) ყოჩაღ, ძალიან კი ივარგეთ - აი, რა ნიშნავს პოლიციელი!

ქმარი: ეს თქვენ ყოჩაღ და მადლობა! **მეზობელი:** შეიძლება წავიდე? ქურაზე ბოროტი მაქვს დატოვებული, თოკზე კიდევ სარეცხი!

ქმარი: მადლობა კიდევ ერთხელ, ახლა კი მიბრძანდით.

მეზობელი: შემოსასვლელის კარისკენ მივსული ვიყავი.

ქმარი: იქით არა, სამზარეულოში, თუ შეიძლება!

მეზობელი: სამზარეულოში?!.. კი მაგრამ, რატომ, თქვენ ხომ დამპირდით?!

ქმარი: მე არაფერს დავპირებოვართ. მიბრძანდით სამზარეულოში და კარს ბოლომდე ნუ მიხიწურავთ, რომ სიგნალიზაციის ხმა უკეთ გავიგონო!

მეზობელი: სამზარეულოს კართან მიდის. ამ დროს ქმარს ხელიდან უხსლტება ქალი, და რომ დამეძლოს, სამზარეულოში შეიშვს, მაგრამ კარს მიკეტებს ვერ ასწრებს - ქმარი ფეხდაფეხ მისდევს. მეზობელი კარს აქვთ რჩება.

მეზობელი: (ქალის მისამართით) მანდ სიგნალიზაცია აყვინა, არ გაბედოთ ფანჯრის გაღება და რაფაზე აძრომა!.. რა ყველა არანორმალური აქ შეიყარა?!

მეზობელი: შემოსასვლელის კარისკენ მიდის. სააბაზანოს კარზე საყვარელი აკაკუნებს.

საყვარელი: (ხმა სააბაზანოდან) რა მოხდა?!

მეზობელი: არ უნდა დაგეჭირათ საქმე პოლიციელის ცოლთან - აი, ეს მოხდა, ჩემო კარგო მდგმურო!

საყვარელი: გამომიშვით აქედან, თორემ კარს ჩამოვიღებ!

მეზობელი: რაც გინდა ის ქენით, ოღონდ მერე ზარალი ამინაზღაურეთ!.. არ მცალია მე, ბოროტი მიდგას ქურაზე, სარეცხი მაქვს გაფენილი, თქვენ კიდევ გინდა ფანჯრიდან გადაშვარხართ და გინდა ამ კორპუსის სახურავიდან უპარაშუტო!

ტელევიზორში ჩანს, როგორ დაქრია სამზარეულოში მაგიდის ირგვლივ ქმარი და ქალი. ქმარს ხელჯობი უფარდება. მას მაშინათვე ქალი ეუფლებოდა და ცდილობდა მოფთვარეობის მანერით მოიგერიოს ქმარი. ეს უკანასკნელი იცინის. ქალი ხელჯობს ქმარს ესერის, მაგრამ ააცილებს. ტელევიზორი ისევ სცენაზე ვიდართვება. სამზარეულოდან გამორბის ქალი, უკან ქმარი მისდევს. ეს უკანასკნელი ცდილობს ქალი დაიჭიროს - ფეხზე გამოსდის ხელჯობის კაუჭი. დარბიან დიდი მაგიდის ირგვლივ.

ქმარი: (მეზობელს) აბა, ახლავე სამზარეულოში შემბრდნით!

მეზობელი: მე ხომ მეუღლე გადაგირჩინეთ, თქვენ კი ასე მექცევით!

ქმარი: სამზარეულოში-მეთქი!.. კარს ბოლომდე ნუ მიხიწრავთ!

მეზობელი: მე რა ჯანდაბად გინდივართ?!.. შემიძლია პატიოსანი სიტყვა მოგცეთ, რომ არავის დავერეკავ და საერთოდ, არავისთან კრინტი არ დამეცდება!

ქმარი: უკანასკნელად გაფრთხილებთ - მიბრძანდით სამზარეულოში!

მეზობელი სამზარეულოში შედის, ქმარი და ქალი კელავ მაგიდის ირგვლივ დარბიან. პოლოს ქმარი ახერხებს ხელუფლის კაუჭი ფეხზე გამოსდის ქალს. ის დივანზე ეცემა. ქმარი ზემოდან მოექცევა, მის გახდის ცდილობს, ქალი უშლიანდაც. საყვარელი საბაზანოს კარზე აკაკუნებს გამუდმებით. ქალი საყვარლის პორტფელის ჩასაცემბ მოძალადე ქმარს თავში. პორტფელიდან ქალადღეი ცივია. პოლოს ქალი ქმარს ლაგებშუა მუხლისთავაკ ამოცხებებს. ქმარი უკან იხევს. გათავისუფლებული ქალი საბაზანოს კარისკენ მიეგრძობა. ქმარი ქალს ეწევა. მათ შორის ისევ ორთაბრძოლა იმართება. ეცემა მაგიდა. მაგიდის იქით აღმორჩნდებიან ქმარი და ქალი - მხოლოდ მათი ფეხები ჩანს. ქმარი ზემოდანაა, ქალი წინააღმდეგობას უწევს. მათი უკეთ შეთვალერება ტელევიზორის ეკრანზეა შესაძლებელი. საყვარელი გამძაფრულია - ის უკვე განწირულია გაფრთხილები უტყვს საბაზანოს შიგნითა კარს. სამზარეულოს კარს იქიდან მეზობლის თავი გამოქვს. გადაბრუნებული მაგიდის იქით ქმარსა და ქალს შორის ორთაბრძოლა გრძელდება. ჩანს, რომ ერთიც და მეორეც დაიღალან.

ქალი: (ზმა მაგიდის იქიდან) თავი გამანებე!

ქმარი: (ხმა მაგიდის იქიდან) არ გაგანებებ!

ქალი: თავი გამანებე-მეთქი, არარაობავ!

ქმარი: გაჩუმდი!

ქალი: მე შენი არ შეშინია, რქებიანო!

ისმის (ტელევიზორში კი ჩანს კიდევ ეს) სილის გაქენის ხმა - ეს ქალია. სიწმინდე ისადატურებს. პაუზის შემდეგ ქმარი დგება, ისწორებს ტანსაცმელს, მიდის ფანჯარასთან. დგება ქალიც, ისიც ისწორებს ტანსაცმელს, ხელში პისტოლეტს უჭირავს, რომელიცაც ქმარს უბრუნებს.

ქმარი: ტყუილად ცდილობ - შიგ ვაზნები არ
დევს!

ქალი პისტოლეტს ძირს დაუშვებს, ამჩნევს მეზობელს.

ქალი: (მეზობელს) უხ, შე ვირთხავ!

უმიზნებს მეზობელს. ის კარს იჭიბთ იმალდება. ხაყვარელი ახერხებს ცყველიდან თავის დაღწევას. შეძრწუნებული შეწყურებს ხან ქალს და ხან ქმარს.

საყვარელი: რა ხდებოდა აქ?!

ქალი ახლა მას უმიჯნებს, შემდეგ ქმარს, ნერვულად იცინის. ქმარი მიდის ქალთან და პისტოლეტს ააჩვენებს.

ქალი: პისტოლეტი დატენილი იყო, არა?!

ქმარი: ჰო, დატყენილი იყო!

ქალი: ოხ, შე საზიზღარო!.. ყველაზე უკანასკნელი არამზადა ხარ და შენ აუცილებლად დაგაპატიმრებენ!

ქმართან მიდის საყვარელი და ხელში აწმევს. ქმარი პასუხობს, თანაც ისე ძლიერად, რომ საყვარელი გვერდზე გადაქანდება და ინერციით დივანზე დაეხეთქება. ქმარს პისტოლეტი აშოაქვს.

ქალი: (ისტერიკულად) მიდი, მოკალი, ისიც მოკალი და მეც მომკალი, იმიტომ, რომ ჩვენ ერთმანეთი გვყვარს და გვინდა, რომ შენს ჯინაზე ერთად მოვკვდეთ, ხელი-ხელ ჩაკიდებულები.

სამზარეულოდან გამოდის მკვლელი.

მეზობელი: არ გინდათ სროლები და სისხლი-
არ გინდათ!

ქალი: ესეც მოკალი, ახლავე, მოკალი-მეთქი!
ყველა მოკალი!

მეწიშედი შიშისასვლედიშ გადის. გონზე ში-
სული საყვარელი მუშტების ქნეით ქმარს ეძგ-
რება. ქმარი ყბაში მოსდებს, საყვარელი იატაკზე
ეცემა.

საყვარელი: (იატაკზე ჯდება) ოხ, თქვე უა-
ნასკნელო არამზადავ!

ქმარი: თქვენ კიდევ... ისა ხართ... რა ზეცია მაგას...

საყვარელი: ჰო, თქვით, რა ვარ!

ქმარი: დამავინყდა რა ჰქვია კონკრეტულად იმ ნურბელას, ქალის ხარჯზე რომ ცხოვრობს!

საყვარელი: იცოდით კი საერთოდ?

ქმარი: ნადით, თქვე ნურბელავ თქვენა, უდღე-
ურო აფერისტო, საყვარელს ტელევიზორი გამოს-

ქალი: მე ის ტელევიზორი ჩემი საკუთარი ფულით ვიყიდე!

ქმარი: პო, მაგრამ ეს საერთო სურათს არ ცვლის!
ქალი: რას ჰქვია სურათს არ ცვლის - მას ჩემ-

ქმარი: ჯგერევე დავიჯერე!

საყვარელი: (ქალს) დამშვიდდი, ძვირფასო, ხომ ხედავ, ასე იმიტომ ამბობს, რომ გაგაბარაზოს!

ბრუნდება მეზობელი.

მეზობელი: გამიშვით აქედან, ახლავე, დაუყოვნებლივ!

ქალი: რატომ გარბიხარო, გირჩევთ დარჩეთ -
მერე მეზობლებს მოუყვებით ყველაფერს, რაც აქ
ხდება და მოხდება და ერთბაშად მთელ კორპუსში
დაივსებუელი და პოპულარული ქალბატონი გახდები-
თა!

მეზობელი: (ქმარს) თქვენ აქ რაღაც თქვენს
თამაშს თამაშობთ, არა?!

ქალი: (მეზობელს) გაჩუმდით, ბოლოს და ბოლოს!

მეზობელი: ნუ მიყვირით, თუ შეიძლება - არავის ეშინია თქვენი!

ქმარი პისტოლეტს ქაშაში ირჭობს, იატაკი-დან იღებს გატყეხას გადარჩენილ ჭიქას, გადის სამ-

ზარეულაში. ქალი საყვარელთან მიდის და ზელს გაუწევის.

ქალი: ადვილი, ძვირფასო!

საყვარელი დამოუკიდებლად დგება. ის და ქალი ერთმანეთის პირისპირ დგანან. უცებ ქალი სილას გააწნავს.

ქალი: (საყვარელს) იცი, მართლა მიყვარხარ, ისე, როგორც ჯერ არავინ მიყვარებია!

მეზობელი: არანორმალურებო, ნადი თქვენი!.. არანორმალურებო, ნადი ჩემი ბინიდან!.. ახალვე ნადი-მეთქი!

მეზობელი ისტერიკაში ვარდება, შეკრთობილივით აბაკუნებს ფეხებს.

ქალი საყვარელს წინ მუხლებზე დგება.

ქალი: მე ხომ შენთვის ტკივილის მეტი არაფერი მომაქვს. ნადი ჩემგან, გაიქეცი, სახამ გვიან არ არის - მე ბიროტი და ზნედაცემული ქალი ვარ!.. მოდი, იცი რა, მართლა გადავტყევი ფანჯრიდან. მერე შენ და პოლკოვნიკი მორიგეობით იგლით ჩემს საფლაფზე და ყვავილებს მომიტანთ, როგორც ისევ და ისევ ამ წყეული პოლკოვნიკისა და მისი პირველი ცოლის ერთი მეზობელი!.. არც იმას, იმ პირველს უყვარდა პოლკოვნიკი, ზუსტად ვიცი, რომ არ უყვარდა. ნამუსს უნახავდა, საყვარელზე და ეგეთებზე კი დიდი ბოდიში! მაგრამ სანყალმა ვერც სხვა იპოვა, ვის შეყვარებასაც შეძლებდა და ვისაც მთელი სულითა და გულით მოუშადადებდა ბორშს. ზუსტად ვიცი, რომ ვერ იპოვა, გესმის?! (ყვირის) გესმის თუ არა ეს შენ?!

მეზობელი: (ყვირილით) ყველა გაჩუმდეს. მე თქვენ ყველას გიბრძანებთ, რომ გაჩუმდეთ!.. გა-მიშვით აქედან, საღისტებო!

ის ისევ ფეხებს აბაკუნებს, თითქოს ადგილზე დარბისო. სამზარეულოდან ქმარი გამოდის წყლით სავსე ჭიქით ხელში, მიდის მეზობელთან და წყალს საბეჭო შეასხამს. ის მოულოდნელობისგან შეშვებულს და ჩერდება.

მეზობელი: ეს რა ქვით?!

ქმარი: დამშვიდდით - ძალიან გაცხარებული იყავით!

მეზობელი: კარგით, მე მშვიდად ვარ, ოღონდ მითხარით, თუ შეიძლება, თქვენ აქ ყველანი რალაც თქვენს განსაკუთრებულ თამაშს თამაშობთ, არა?!

ქმარი: რა თამაშს?!

მეზობელი: აი, თქვენი ცოლი დოცენტის წინ მუხლებზე დგას და ამირებს ფეხებზე მოეხვიოს, რომ არსად არ გაუშვას, ხედავთ?! (ქალი საყვარელს ფეხებზე ეხვევა). ხომ ხედავთ?!.. არა, კეთილი ინებეთ და მიპასუხეთ, ხედავთ ამას თუ არა?!

ქმარი: რა გნებაეთ?!

ქალი: არაფერი. უბრალოდ, მინდოდა გამეგო, ხედავთ ამას თუ არა.

ქმარს მეზობელთან სკამი მიაქვს.

ქმარი: აი, დაბრძანდით! (მეზობელი ჯდება).

გინდათ, კიდევ მოგიტანო წყალს?

მეზობელი: არა, გმადლობთ, მეყოფა!

ქმარი: დასალევია წყალი მიაქვს მხედველობაში!

მეზობელი: თუ დასალევია იგულისხმეთ, მაშინ მომიტანეთ!

ქმარი: იქ, სამზარეულოში, მაგიდაზე პროდუქტებით სავსე ცელოფნის პარკები აწყვია. აღმოჩნდა, რომ ჩემს ცოლსაც უყვია ფორთოხლები, ალბათ თავისი საყვარელისთვის. იცოდით, რომ თურმე თქვენს მდგმურსაც უყვარდა ეს ბილი?

მეზობელი: არა, საიდან უნდა მცოდნოდა ამ დამთხვევულ პროფესორას - რა უყვარდა და რა არა. თქვენა ცოლს რომ ყვარობდა, ეგ ვიცოდით მხოლოდ!

ქმარი: დოცენტია, ჯერ პროფესორი არ გახდარა.

მეზობელი: აქაურები პროფესორას ეძახიან. გუშინ დილით, სახლიდან რომ გაშოდიოდა, ჩიტმა დაასკლინა მხარზე, პოდა, ასე თქვეს, ფულს იშოვისო.

ქმარი: ფულის არ ვიცი, მაგრამ კარგ ჩიტს კი დაიჭერს.

მეზობელი: რა გაცქთ მხედველობაში?

ქმარი: ალბათ, მინდოდა მეთქვა, კარგი ჩიტია უკვე დაიჭირა-მეთქი ჩემი ცოლის სახით. იცით რა, იატაკიდან დასვრილი ფორთოხლების აკრეფას გირჩევნიათ ჩემი ცოლის ნაყიდი წაიღოთ - გეკუთვნით და ალალი იყოს თქვენზე!

მეზობელი: არა, მე სხვისი არაფერი მინდა!

ქმარი: ყოჩაღ, სამართლიანი და პრინციპული ქალბატონი ბრძანებულებით. ყველა რომ თქვენ-ნაირი იყოს, სამყარო გაცილებით უკეთესი იქნებოდა. ნება მიბოძეთ ხელზე გეამბოროთ! (მეზობელს ხელზე კოცნის, შემდეგ ჭიქით სამზარეულოში გადის).

ქალი: (საყვარელს) სულზე უტკბესო!

საყვარელი: ადვილი!

ქალი: (დგება) როცა ფანჯრის რაფაზე ვიდევნი ჩემს სიგარეტს შემთხვევით ფეხი ვჯარი და ისიც ძირს გადავარდა. მომეცო, თუ შეიძლება შენი.

საყვარელი გაუძნრელად დგას.

ქალი: მომეცი, გთხოვ!

საყვარელი ვიბიდან სიგარეტის კოლოფს იღებს და ქალს უწევის. ის კოლოფიდან ერთ ლერს ამოაძვრენს.

ქალი: ცეცხლი, თუ შეიძლება!

საყვარელს ვიბიდან სიგარეტის კოლოფს იღებს და ქალს ცეცხლს აწევის. ის სიგარეტს უტიფებს. შემოდის ქმარი, მეზობელთან ჭიქით წყალი მიაქვს. მეზობელი ცოტას მოსვამს და ჭიქას ქმარს უბრუნებს.



მეზობელი: რომელიღაც კინოში მგონია თავი... გეფიცებით, ყველაფერი ისეა, როგორც რომელიღაც კინოში, ოღონდ არ მახსოვს, რომელიში!.. უი, ზო, მართლა, კინალამ დამაინწყდა - დიდი მადლობა ნწყლისთვის!

ქმარი: არაფრის.

მეზობელი: კინოში კი არადა, ახლა თქვენ, რომ თქვით, „არაფრისო“, ისეთი შეგრძნება დამეფულა, თითქოს ეს ყველაფერი ოდესღაც მოხდა, რომ ოდესღაც თქვენ სამზარეულოდან ჭიქით წყალი მომიტანეთ, მე მადლობა გადაგიხადებ და თქვენ სწორედ ასე თქვით, „არაფრისო“ და სწორედ ასე შემომხედეთ თვალებში!

ქმარი: მართლა?

მეზობელი: პო, მართლა, გეფიცებით შვილიშვილებს!

ქმარი: ჰოდა, როგორ დამთავრდა მაშინ მთელი ეს ამბავი, ახლა აქ რომ ხდება?

მეზობელი: არ მახსოვს. ალბათ, ისე დამთავრდა, როგორც აქ დამთავრდება დღეს!

ქმარი: ძალიან კარგი!

მეზობელი: მაშინაც თითქოს ქვებით ბორში მედგა ქურაზე და მე აქ ამის გამო ეკლებზე ვიჯექი... ის კი არადა, თითქოს სარეცხის გამოც ვიჯექი ეკლებზე!

ქმარი: ქვაბი, რომლითაც ბორში დგას ქურაზე, დიდა?

მეზობელი: უფრო სწორად, გინდათ მკითხოთ, ბევრია თუ არა წყალი ქვაბში, რომელიც ქურაზე დგას, არა?

ქმარი: დიას!

მეზობელი: არა, სამწუხაროდ ბევრი არ არის!

ქმარი: გახე ქურაზე დგას, თუ ელექტროქურაზე?

მეზობელი: სამწუხაროდ, გახე ქურაზე.

ქმარი: რატომ სამწუხაროდ, გახე ქურაზე თუ დგას, უკეთესია.

მეზობელი: რით არის უკეთესი?

ქმარი: არის.

მეზობელი: მართლა?

ქმარი: დიას.

მეზობელი: შეიძლება ფანჯარასთან მივიდეთ?

ქმარი: რატომ?

მეზობელი: ამ ოთახს ჩემი სამზარეულო ესაზღვრება. მაღაზიამ ნასვლის წინ სარკმელი გამოვადე და თუ რამე, დამწვრის სუნი ხომ უნდა მომივიდეს?

ქმარი: ეს იმაზე დამოკიდებული, რომელ მხარეს იქორლებს ნიაჭი.

მეზობელი: ეგეც მართალია, მაგრამ ფანჯარაში მაინც გავყოფ თავს თუ შეიძლება.

ქმარი: ხომ არ იყვრებ?

მეზობელი: არა, რას ამბობთ, თქვენი პისტოლეტი ხომ დატენილია!

ქმარი: არც გადახტომას მოინდომებ?

მეზობელი: როგორ გეკადრებათ, სიცოცხლე ჯერ არ მომეზურება!

ქმარი: მაშინ მიბრძანდით.

მეზობელი: უადრესად დიდი მადლობა. (მიდის ფანჯარასთან, გადაიხრება, პერსი ყნოსავს).

ქალი: (საყვარელს) მგონი მარტოა შენს წინა ქურაზე დატოვებული.

საყვარელი: სანამ მე სააბაზანოში ვიჯავი, აქ რა ხდება?

ქალი: რა გაქვს მხედველობაში?

საყვარელი: შენ მას დანებდი?

ქალი: (საყვარელს გაუსილაქებს). აი, შენ ამ სიტყვებისთვის!

საყვარელი: მართლა არ დანებებულხარ?

ქალი: თეორიულადაც კი როგორ დაუშვი, რომ მე მას შენს ბინაში დავნებდებოდი - ფიქრადაც როგორ მომაყენე ასეთი შეურაცყოფა?

საყვარელი: მართლა?

ქალი: შენ რა, ეჭვი გეპარება ჩემს ნათქვამში?.. შემომხედეთ თვალებში და მიპასუხე კითხვას!

საყვარელი არაფერს ამბობს. ქალი მას კიდევ ერთ სილას აჭმევს.

საყვარელი გამეხებით გასცქერის ქმარს, რომელიც იატაკიდან თავის ხელფეხს იღებს - უნდა რომ მას თავს დაესხას. ქალი საყვარელს ეხვევა.

ქალი: არ ნახედი ჩემგან!.. არასოდეს არ მიმეტოვი!

მეზობელი: (ფანჯარას მოშორდება) ხალხო, სახლში გამიშვით!

მეზობელი შემოსასვლელში გადის. ტელევიზორში ცოტა ხნით ჩანს, თუ როგორ ლაშობს ის შეშობასეული კარის გაღებას, მაგრამ არაფერი გამოდის.

ქალი: (საყვარელს) გამომეყვი!

საყვარელი: სად?

ქალი: სადმე, თუნდაც სამზარეულოში!

საყვარელი: იქ რა გვინდა?

ქალი: ის კი არადა, სააბაზანოშიც შეიძლება. ხომ გახსოვს, ჩვენ იქ რამდენიმეჯერ არც თუ ისეთი ცუდი სექსი გვექონდა!.. ნავედით! (საყვარელს სააბაზანოკენ ეწევა, მაგრამ ის არ მიჰყვება). მაშინ ისევე სამზარეულოში. ჩვენ იქ სექსი არ გვექონია. უფრო სწორად, გვექონდა, მაგრამ ბოლომდე ვერა - მოულოდნელად ჩაიდანა მორთო სტვენა... და სერთოდ, ეს ჩაიდანა ყოველთვის უდროო დროს სტვენს ხოლმე - ფანჯრიდან უნდა გადავაგდო!

ქალი გეზს იცვლის, ისევე მთელი ძალით ექაჩება საყვარელს, მაგრამ ის არ მიჰყვება.

შემოსასვლელთან გამოდის მეზობელი, ერთადერთად დგას, ფანჯარას მიშტერდება, შემდეგ კი იქითკენე მიემართება.

ქალი: (საყვარელს) გააჩერე, თორემ, მგონი, ფანჯრის რაფაზე აპირებს აძრომას!

საყვარელი: (მეზობელს) შეჩერდი!

ქალი: ვერა არა, მიდი და შენ თვითონ გააჩერე!

მეზობელი: (შეაღება. საყვარელს) არ მომიკაროთ, თორემ ვიკივლებ!

საყვარელი: (მეზობელს) ფანჯარაზე სიგნალიზაცია აყენია.

მეზობელი: ხუმრობაც რომ არ გეხერხებათ!

მეზობელი ფანჯრისკენ სვლას აგრძელებს, საყვარელი მას გზას უღობავს. მეზობელი ცდილობს გვერდი აუაროს, მაგრამ საყვარელი ისევ წინ გადაუდგება. მეზობელი უკან ბრუნდება, გადის შუამოსასვლელებში. ქმარი წიქით ხელში სკამზე ჯდება. ისმის როგორ ამრახულებს შემოსასვლელ კარებზე მიგნიდან მეზობელი.

ტელევიზორში რამდენიმე წამით გამოჩნდება მეზობლის ზემოთ აღწერილი ქმედება.

მეზობელი: (ისმის მისი ხმა) მომელო!

ქალი: (ქმარს - ხმამაღლა ამბობს, რომ მეზობელმაც გაიგონოს) ის ახლა უფრო ხმამაღლა აყვირებს!

ქმარი: (ჭიქიდან წყალს სვამს) არა, არ იყვირებს, ის უკვე მორჩა გახსოვლას!

ქალი: არა, იყვირებს! (ხმამაღლა) ახლა ის ისე ხმამაღლა იყვირებს, რომ მთელ კორპუსს ფეხზე დააყენებს!

პაუზა.

ქალი: (ხმამაღლა, მეზობლის მისამართით) იყვირებთ თუ არა, ბოლოს და ბოლოს?!

შემოდის მეზობელი.

მეზობელი: (ქმარს) მე თქვენ უმორჩილესად გთხოვთ, გეხვეწებით, გეშუადრებით!..

ქმარი: დამშვიდდით!

მეზობელი: რა გინდათ რომ ვქნა, რომ გამოვივით?!.. გინდა მუხლებზე დაედგე თქვენი ცოლივით?

ქმარი: არა, არ მინდა!

მეზობელი: მე მაინც დადგები!

მეზობელი სააბაზანოს კართან მიდის და შიგ შუადის.

ქალი: რის გაკეთებას აპირებს?

ქმარი: ტუალეტში უნდა და.

ქალი: კარგი ერთი, გინდა თქვა, რომ უბრალოდ ფისი-ფისი უნდა ქნას?!

ქმარი: კი.

ქალი: შენ რა იცი?

ქმარი: ვიცი.

საყვარელი: მგონი, მართლაც ეგრეა.

ქალი: შენ რა იცი?

საყვარელი: ვიცი.

ყველანი სააბაზანოს კარს მისჩერებიან. იქიდან ისმის უნიტაზის წარეცხვის ხმა. სააბაზანოდან გამოდის მეზობელი.

მეზობელი: რა იყო, რას მომშტერებისათრ ყველანი ერთად?!

ქალი: უკვე შესვდავც არ შეიძლება, ეს რა მკაცრი გინიმე ყოფილაბრათ!

მეზობელი: თქვენ კიდევ ზნედაცემულანტანსა ლიდეებით!

ქალი: რა თქვით?!

მეზობელი: ზნედაცემული ქალი ხართ!

ქალი: ეს უკვე მეტისმეტია!

ქალი მიდის მეზობელთან, უნდა თმებში სწვდეს, მაგრამ ის თავის დაძვრენას ახერხებს. მცირეოდენი შეპრობლების შემდეგ, ქალი საწყიდელს მაინც აღწევს - მოულოდნელად მეზობელს თავიდან პარისკ აბეჭდვს.

ქალი: (შეცბუნებულია) უი, უკაცრავად!

მეზობელი მას სილას გააწნავს. ქალი უკვე სერიოზულად აპირებს შეპრობლებას, მაგრამ მასთან საყვარელი მიდის და გვერდზე გაჰყავს.

ქალი: მგონი, უკვე გაუგვიდო!

მეზობელი: ეს რამდენი ალიყური იყოს დღეს!

მიდის კარადასთან, სარკის წინ დემონსტრაციულად ირგებს პირისკ და თავს იქნერბებს.

მეზობელი: (ქალს) მე თქვენ ამას არ გაბატიებთ!.. ეს პარიკი ჩემმა რძალმა მარქუა. ის, მართალია, უცხოელია, მაგრამ კეთილია. მანამ არ მომეშვა, სანამ ამ ძვირიათ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სამკაულის ტარებაზე არ დამითანხმე.

ქალი: აი, კიდევ ერთ ტყუილში განოიგიჩრეთ!

მეზობელი: რა ტყუილში?!

ქალი: ნელა, თხუთმეტწლის წინათ აეტოავარიის დროს დაღუპულ სტომატოლოგზე რომ ლაპარაკობდით, ასე თქვით, რომ ის ქალი ხელეხში ჩაგაკეცდა!

მეზობელი: დიახ, ეგრე იყო. მერედა, რა არის აქ ტყუილი?!

ქალი: ისიც თქვით, რომ მაშინ რაღაც სამ ნუთში თითქმის მთლიანად გაჭაღარავდით!

მეზობელი: დიახაც, ასე იყო, მერე?!

ქალი: ჰოდა, მერე ჩემს ქმარს უთხარით, თმა შეღებილი მაქვსო, სინამდვილეში კი პარიკი გვინათ!

მეზობელი: დიდი ამბავი, თუ პარიკი მახურავს, პარიკს შიგნით თმა ხომ შეღებილი მაქვს?!

ქალი სახეზე ხელეხს იფარებს და ტირის. საყვარელი მას დამშვიდებას ცდილობს.

ქმარი: (მეზობელს) მე ახლა კარს გავაღებ და გაგიშვებთ!

მეზობელი: ქენით სიკეთე, თორემ ბოთლში დამწყვედული ჯინიგითა ვარ!.. და იცით კიდევ რა, თქვენს ყურადღებას ზიგაქცევიდი იმ ფაქტს, რომ თქვენმა მეორე ნახევარმა ახლაბან როგორც მეუღლე ისე მოიხისენიათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გულის სიღრმეში, ანუ ქვეცნობიერად, ისევ ქმრად გაღარბეთ.

ქალი: ტყუილია - არ ვთვლი მაგას მე ქმრად!

მეზობელი: ეგრევე დაგიჯერეთ!

მეზობელი: მე ვალი მოვიხადე ერისა და ღვთის წინაშე და საქმის კურსში ჩაგაყენეთ. ანო თქვენ თვითონ განსაჯეთ - დოცენტის ხარო, რაც არ უნდა იყოს. მოკლედ, იფიქრეთ და თუ კარგად დაუკვირდებით, არ გაგიჭირდებათ შეიშინოთ, თუ რა დონეზე არიან შეთანამშებულებანი!

ქმარი: (მეზობელს და საყვარელს) შეიძლება გავიგო, რას ჩურჩულებთ მანდ?!
ქალი: პო, მართლა, რაც ჩურჩულებთ მანდ?!
საყვარელი: არც არაფერს!
ქალი: (საყვარელს) სიგარეტი მომეცი, ოღონდ ახლოს არ მოხვიდე!

საყვარელი: აბა, ისე როგორ მოგცე?!
ქალი: ისროლე.
მეზობელი: (ქმარს) თქვენ რა, ამ სექტაკლის ბოლომდე ასე აპირებთ ჯდომას?!

ქმარი: რა გინდათ, რომ გქნა?!
მეზობელი: როგორ თუ რა, ძალაყინი მაინც იშოვეთ და იმით გაადეთ კარი!

ქმარი: კარგით ერთი, აქ სად უნდა ვიშოვო ძალაყინი?!

მეზობელი: კეთილი ინებეთ და ფეხზე ადგით, როცა მანდილოსანი გელაპარაკებათ!

ქმარი დგება.

მეზობელი: აღზრდა რომ არ მიშლიდეს, ერთი კარგი სილით გაგვიასაინძნებოდათ და იცით, რატომ?

ქმარი: რატომ?
მეზობელი: იმიტომ, რომ მე თქვენ ყველანი მძულხართ და სათითაოდ ისე მიგანვენდით მაგ თქვენი პისტილეტით, რომ თვალსაც არ დავახამხამებდი!

ქმარი: შემოსასვლელში გადის. ისმის, როგორ ეწევა ლაპარაკს. გარეთ ელაფს, ისმის გრუზუნი.

მეზობელი: (ქალს) ხედავთ, წვიმა დაინყო, ანო მაინც ჩამოქვეითადი!

გრუზუნი მატულობს. ქალი ფარფერიდან ჩამოდის, საყვარელს სიგარეტს აწოდებს, უკიდებს. დივანზე ვდება, ეწევა. შემოდის ქმარი.

ქმარი: (მეზობელს) შეგიძლიათ ნახვიდეთ.
მეზობელი: ნართლა?! (წასვლას აპირებს) ჩემი სარეცხი და ბორბო!

ქმარი: ან, იცით რა, ხუთიოდე წუთი კიდევ დაცადეთ, თუ შეიძლება. მხოლოდ ხუთი წუთი და მერე ერთად გავიდეთ აქედან!

მეზობელი: რატომ არ შეიძლება ბოლოს და ბოლოს, რომ გამიშვათ?!

ქმარი: ხუთი წუთი!
მეზობელი: არა, ბატონო, უნდა ნავიდეთ, ხუთ წუთში ჩემი სარეცხი ხელმოკრედი იქნება გასარეცხი!

ქმარი: თქვენ თუ ნახვალთ, მე შეიძლება ესენი დავხვრიტო. თქვენ მისთვის მჭირდებათ, რომ ეს არ გავაკეთო!

მეზობელი: ხუმრობთ?!

ქმარი: არა, არ ვხუმრობ!
მეზობელი: სკამი მომიტანეთ, თავს ცუდად ვგრძნობ!

ქმარს მეზობელთან სკამი მოაქვს, ის ვდება.

ქმარი: გინდათ დაგინიავოთ?
მეზობელი: მითხარით რა, ბოლოს და ბოლოს, რომ წელა, როცა ამით დახოცვებ ლაპარაკობდით, უბრალოდ, უხეშად გაიხუმრეთ, თორემ ავადგები და ნავალ!.. თან უკვე, მეგონი, მართლა მტკივა გული - არ გგვროთ ეს იმედიანობა!

ქმარი: რა მცხუმრება, თუ ღმერთი გნამო!
მეზობელი: იცით, ჩემი ბიჭი დეტექტივებს კითხულობდა, მირდაპირ ნათქვამა. შეეძლო დილაზე ეკითხა და მერე ინსტიტუტში წასულიყო, ყველა ლექცია ჩაეკონსპექტებინა, დაბრუნებულიყო და ისევ ეკითხა გათენებამდე. ზოგჯერ თავი ასტუკვდებოდა ბევრი კითხვისგან. თქვენც ეგრე გემართებოდათ?

ქმარი: მე რატომ?
მეზობელი: დეტექტივების კითხვისგან.
ქმარი: მე დეტექტივებს არ ვკითხულობდი.
მეზობელი: უი, ხო, მართლა, სულ მთლად გავუტეხე მე საწყალმა - დეტექტივების კითხვა თქვენ რაში გინდომებოდათ, როცა თავად იყავით დეტექტივი.

ქმარი: ისე კი, დაჭრის შემდეგ თავი მართლა მტკივდა ხოლმე.

მეზობელი: არ მიყვარს დაჭრები, სისხლი და უბედურება, მაგრამ მაინც ძალიან მაინტერესებს, თუ როგორ დაეჭრეს!

ქმარი: ჩვეულებრივად დამჭრეს!
ქალი: მე მოგიყვებით. იმას, ვინც პოლიკონიკი დაჭრა, შეეძლო, რა თქმა უნდა, პირველივე გასროლით საიეთის ვესტუმრებინა, მაგრამ უნდა, რომ გაენეალებინა. პოდა, ამიტომაც ჯერ ფეხში მოარტყა, რომ მოსახვევამდე მიზნება არ შეეძლებოდა, რომლის იქითაც მისი მანქანა იდგა - იმ მანქანაში კი მე ვიჯექი და კიდევ სათადარიგო მჭიდვი იდო. მე მანქანის რადიოს ვუსმენდი და არც კი ვიცოდი, რომ ჩემგან ას მეტრში სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებოდა. მოკლედ, იმას, ვინც ეს მუხლში დაჭრა, უნდადა მსხვერპლისთვის თვალდებში ჩაეხედა და მხოლოდ ამის შემდეგ მოეკლა, გაიგეთ?

მეზობელი: როგორც კინოებშია, არა?!
ქალი: პო, სწორედ ეგრე!
მეზობელი: (საყვარელს) ცუდია, რომ ტელევიზორში კინოებს არ უყურებთ.

საყვარელი: მოგცლიათ ერთი!
მეზობელი: აბლა აქ რომ ხდება, ისიც კარგი საკინოვო მასალაა.

საყვარელი: გაანებეთ ამ კინოებს თავი და ნიგნები იკითხოთ.

მეზობელი: გამომიწნდა აქ ქუჩის დამრიგებელი! (ქალს) განაგრძეთ, გეთაყვა.

ქალი: მოკლედ, თეატრიდან მოვდიოდით, ამას, ანუ პოლიკონიკზე ვამბობ, უცებ მოეფსა - სახლამდევე ვერ მოვიღებო. იქვე კაფეც იყო და მაღაზიაც, მაგრამ ამან მაინცდამაინც პარკის ტუალეტში მო-

ინდომა დაეცა. მეც მინდოდა, მაგრამ იმ სიცივეში დამეზარა, შინ მისვლამდე მოვიმოძენ-მეთქი. ეს წავიდა. კიდევ კარგი, მოფსა და უკან გზაზე გადავყარა იმ ბანდიტს, რომელიც თავის დროზე ორჯერ გაავაზუნა ციხეში. მესამედ ის რეციდივისტი უკვე სხვა პოლიციელმა დაიჭირა და ჩასვა, მაგრამ იმან ციხიდან გაქცევა მოახერხა და ძებნაში იყო. ამან მაშინვე იცნო იმ სიბნელეში. ეს მარტო იყო, ისინი - სამი. დანერგო სროლები. ამან ორი მაშინვე ჩამოიშორა, მაგრამ ტყვეები გაუთავდა. მე კიდევ, როგორც მოგახსენეთ, მანქანის რადიოში თეატრალურ კრიტიკოსს ვუსმენდი - ჩვენ რომ სპექტაკლიდან მოვდით, სწორედ იმას განიხილავდა!

მეზობელი: მოიცათ, ჩამოიშორა რას ნიშნავს, მოკლა?!

ქალი: ლიკვიდირებას ეძახიან ამ ამბავს ესენი თავიანთ ენაზე!

მეზობელი: უი, ცუდდა ვარ!.. თუმცა, ისინი ხომ ბანდიტები იყვნენ?!

ქალი: კი, ბანდიტები იყვნენ!

მეზობელი: ბანდიტები თუ იყვნენ, ლიკვიდაცია არ აწყენდათ, მაგრამ მაინც მეცოდებიან!

ქალი: მოკლედ, ის რეცედევისტი რომ თავზე დაადგა, თვალეში ჩახედა და პისტოლეტი შემართა, ამ დროს ესროლეს კიდევ თვითონ მას - საპატრულო ჯგუფი შეესწრო შემთხვევით ამ ამბავს!

მეზობელი: ღმერთო ჩემო!.. ჩემი შვილიც მომეჩაბრა. ოღონდ, ის უკვე დეტექტივებს აღარ კითხულობს, როგორც ჩემმა რძალმა მითხრა!

საყვარელი სიგარეტს ამოიღებს, ეწევა. ქმარი უყურებს.

საყვარელი: (ქმარს) რაღაც უნდა გეტქვას, არა?!

ქალი მიდის საყვარელთან, უნდა ბელიდან სიგარეტი გამოეღო, მაგრამ საყვარელი არ თმობს. მათ შორის ნამდვილი ორთაბრძოლა გაიმართება.

მეზობელი: (ქმარს, რომ მისი ყურადღება საკუთარ თავზე გადაიტანოს) ერთ დროს მეც ვეწეოდი სიგარეტს!

ქმარი: მართლა?

მეზობელი: ჰო, მართლა. მაშინ მე და ჩემი ქმარი შეყვარებულები ვიყავით. უფრო სწორად, ჩემს მომთხოველ ქმარს ჩემი თავი ჩემი წინა შეყვარებულისთვის ახალი წართმეული ჰქონდა!

ქმარი: მართლა?

მეზობელი: ჰო, მართლა. ჩემმა ქმარმა კარგა გვარიანად იბრძოლა, რათა ჩემი თავი ჩემი შეყვარებულისთვის წაერთმია... იცით, რას გეტყვით?!

ქმარი: რა უნდა მითხრათ?

მეზობელი: როგორც ჩემი ქმარი იტყოდა, ყველაფერს დაფიქრება და გაანალიზება უნდა. აი, მაგალითად, რამდენადაც მესმის, მაშინ, როცა თქვენ ვაზნები გამოგვლიათ მჭიდრო თუ პისტოლეტში... ეს ხომ ერთი და იგივეა?

ქმარი: კი.

მეზობელი: ესე იგი, მაშინ ცარიელი მჭიდრო თუ

პისტოლეტით კი დარჩით, მაგრამ რეალურად რა? ჩით, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სასწაულმა გიხსნათ.

ქმარი: ჰო, შეიძლება ასეც ითქვას.

მეზობელი: თუ ასეა და, თუ მაშინ თქვენ ასე პროცენტობი სივდისისგან სასწაულმა გიხსნათ, რატომ გინდათ ახლა სხვები მოკლათ?!

ქმარი: შეგახსენებთ, რომ თქვენ თვითონ, არც ისე დიდი ხნის წინათ, ყველა ჩვენგანის დაბოცვას ამირტოვებდით ჩემი პისტოლეტიდან!

მეზობელი: ეს ისე, ცბელ გულზე ნაშთიდა!

ქმარი: მეც ცბელ გულზე ვარ. ისე, როგორც ჩემი ცოლი, ჩემს დარჩენილ ცხოვრებაში უკვე ვერაფერს დამიძახებს ვერც აუფრთხილა, ვერც „მამილოს“ და ვერც „შერლოკ ჰოლმს ორს“.

მეზობელი: ხუთი წუთი უკვე გავიდა, თქვენ კიდევ მოკლოვინის სიტყვა მომცით, რომ გამიმეზობლიო.

ქმარი: პოლკოვნიკის სიტყვა არ მომიცია, მაგრამ მაღე გავიმეზობი.

მეზობელი: შიდა, ძალიანაც კარგი. მეც გამომვით და ესენიც.

ქმარი: ადამიანის დაყოლიების განსაკუთრებული ნიჭი გაცქთ!

მეზობელი: ნოცელაით ერთი!

ქალი საყვარელს თითქმის ბოლომდე მოწველ სიგარეტის ნაწვეს ართმევს და ფანჯარაში ნიშნავს. ამ დროს იმის გრუზუნიც და ელავს.

ქმარი: (საყვარელს) აი, ხომ იცნობ, ბუნებასაც კი გაუხარდა, რომ თქვენ სიგარეტი დათმოს ცოტაც და გასროდით.

საყვარელი: შეგიძლიათ ისედაც მესროლოთ, უსიგარეტოდ!

მეზობელი: გეყოთ, ბიჭებო!

საყვარელი სააბაზანოსკენ მიდის.

ქალი: სად მიდისარ?

საყვარელი: სადაც მეფენიც თავისი ფეხით და იარეზიან!

ქალი: სიგარეტი დამიტოვე!

საყვარელი: არ დაგიტოვებ - ისედაც ბევრი მოსწიქ!

ქალი: დამიტოვე-მეთქი!

საყვარელი ქალს სიგარეტს უტოვებს, თვითონ სააბაზანოში შედის. ქალი ფანჯარასთან მიდის, ეწევა.

მეზობელი: (ქალს) მეცა არ დაგკრათ, გამოდით!

ქალი: რატომ, მეცხდაც მოკლა ამ კორპუსში ვინმე ფანჯარასთან მდგომი?

მეზობელი: არა, მაგრამ მაინც გამოდით!

ქალი: ნუ წუხიხართ, მეც არ მეკარება!

მეზობელი: (ქმარს) ყავა ხომ არ გინდათ - შემიძლია მოგიდგლოთ აქვე, საწარულოში. ან, თუადაც ჩემთან, სახლში.

ქმარი: ჩემი მეტოქე ყავას სვამს?!

მეზობელი: არ ვიცი. თქვენ ხომ სვამთ?
ქმარი: მე - არა. წინათ ვსვამდი, ახლა უკვე აღარ. როცა დამჭრეს და როცა ის, ვინც დამჭრა, ჩემთან მოვიდა, თვალეზში ჩაშენდა და თავში დამი-
მიხსა, იქ რაღაც გადამიტრიალდა. უფრო სწორად, ერთ წამში მთელი ჩემი ცხოვრება თავალწინ დამიდ-
ვა. პოდა, ის ერთი წამი რომ ჩამთავრდა, ტვინის რიმელიდაც კარი, ფანჯრები და სარკმლები დაი-
კეტა, სხეები, ჩემთვის არასასურველები კი გაიღო. მას შემდეგ სიგარეტის კვამლსაც ვერ ვიტან, წინათ მე ზოგჯერ თვითონაც ვეწეოდი... მოკლედ, სხვა კაცი ვარ და ამ სხვა კაცს ზოგჯერ მეც ვერ ვცნობ!

საბაბაზნოდან ისმის ჩარეცხვის ხმა. იქიდან საყ-
ვარელი გამოდის, ქალთან მიდის.

ქმარი: შიშის გამო კი არ გადამიტრიალდა ტვი-
ნი - უბრალოდ, რომელიღაც კარი, ფანჯრები და სარკმლები ჩაიკეტნენ და სხვები გაიღნენ.
მეზობელი: მესმის.
ქმარი: ის ჩაკეტილი კარი და ფანჯრები ანაი აღა-
რასოდეს გაიღება, აი, ამაშია საქმე!.. წინათ წვიმაც მიყვარდა, ახლა კი უკვე აღარ მიყვარს. ჩემი პირვე-
ლი ცოლი რომ გავიცანი, მაშინაც წვიმდა!
მეზობელი: წვიმა კარგია, ჰაერს დაწმინდავს ხოლმე!

ქმარი: მას შემდეგ, რაც ჩემი მეორე ცოლი შე-
ვირთე, ყველაზე სანდო ქმარი ვიყავი დედამიწის ზურგზე. თუ პირველ ცოლს პირველივე შესაძლებ-
ლობაზე ველატობდი, ამ ქალბატონის შემდეგ ერ-
თხელაც არ გამიხვდია განზე.
მეზობელი: არც ისე ძალიან მიყვარს ბორში. სა-
უკუნეა არ მომწონებია, დღეს კი რატომღაც მო-
მესურვია. უფრო მომზადება მომიწონა, ვიდრე მირ-
თმევა. ასეც მემართება ხოლმე!

ქმარი ფანჯარასთან მიდის, გარეთ იყურება.

ქალი: (ქმარს) მგონი, შენი ძალი დამესიზმრა.
ქმარი: (ერთი წამით მოიხედავს ქალისკენ, შემ-
დეგ ისევ გარეთ იყურება) ჩემი ძალი?
ქალი: ჰო, ჯუღბარსი, ბაბუაშენის მონადირე მეზობელმა რომ მოგიკლა.
ქმარი: მართლა?
ქალი: ჰო. (საყვარელს), აბა, ჰე, ნავიდეთ!
საყვარელი: სად უნდა ნავიდეთ?
ქალი: ადექი, რომ გეუბნებიან!

საყვარელი დგება. ქალი საყვარელს ძალით მი-
ათრევს შემოსასვლელისკენ. დგება მეზობელი და ისიც იქითკენ მიდის. ტელევიზორში ცარიელი შე-
მოსასვლელი ჩანს.

ქმარი: (ბრძანების კილოთი) სდექ!

ქალი და საყვარელი ჩერდებიან. შემინებული
მეზობელი თავის წელანდელ ადგილს უბრუნდება.

ქმარი: თუ ნასვლა გინდოდათ, მაშინ უნდა ნა-
სულიყავით, როცა ფანჯარაში ვიყურებოდი, ახლა

უკვე გვიანაა!

ქალი საყვარელს თავისი სხეულით გადაფარე-
ბა (ტელევიზორში ისევ ცარიელი შემოსასვლელი
ჩანს).

ქალი: თუ ამის მოკვლა გინდა, მაშინ მეც მომ-
კალი - სულ ერთია, მის გარეშე მაინც ვერ ვი-
ცოცხლებ!

მეზობელი: (ფეხზე წამოხტება) არ გინდათ -
თორემ ცუდად გავხდები!

ქმარი: (ქალს და საყვარელს) დასხედით!

მეზობელი: (ქალს და საყვარელს) დასხედით
რომ გეუბნებიან, პოლკოვნიკი მჯდომარე ხალხს
არ ესერის, იმიტომ, რომ ის პოლკოვნიკია!

ქალი საყვარელთან ერთად დივანისკენ იქაჩე-
ბა, მაგრამ ის არ მიყვება.

მეზობელი: (საყვარელს) დაჯექით, თორემ ვიყ-
ვირებ, ან უფრო უარესი, უკანასკნელ ხმაზე ვიკი-
ვლებ!

საყვარელი ისევ ვიუტობს. მეზობელი დაბალ
ხმაზე კივის.

ქმარი პისტოლეტს ამოიღებს. მეზობელი ჩუმ-
დება. ქალი საყვარელს, როგორმე რომ დაიმორჩი-
ლოს, სილას გააჩნავს, შემდეგ მიჰყავს დივანამდე
და ორივენი სხდებიან.

ქმარი: (მეზობელს) თუ წინააღმდეგი არ იქნე-
ბით, ნავიდეთ!

მეზობელი ჩუმად - ვერ გადაუწყვეტია, წა-
ვიდეს თუ არა პისტოლეტმომარჯველ ქმართან
ერთად.

ქმარი: (ქალს) როგორც გინდათ, მე კი ნავედი.

პისტოლეტს ჯიბეში იდებს, მიდის შემოსასვლე-
ლისკენ. დგება მეზობელი, ისიც იქით მიემართება.
კართან ქმარი შედგება, უნდა რომ გზა დაუთმოს
მეზობელს.

მეზობელი: მხოლოდ თქვენს შემდეგ!
ქმარი: ეს მე უნდა მეთქვა.

მეზობელი: კატეგორიულად მხოლოდ თქვენს
შემდეგ.

ქმარი: თქვენ რა, გემინიათ, რომ შეიძლება ზურ-
გში გესროლოთ?

მეზობელი: არა. უბრალოდ, ვიფიქრე, რომ ჩემი
გარეთ გატყუება გინდათ, რომ მერე იქ დამიტოვოთ,
თქვენ კი ამათთან თქვენი პისტოლეტით მარტო
დარჩეთ!

ქმარი: კარგით ერთი, ეგ რომ მდომოდა, ხუთი
წუთის წინ გაგიშვებდით და დავრჩებოდი ამათთან
მარტო!

მეზობელი: ეგაც მართალია!

მეზობელი გადის. ტელევიზორში ჩანს, როგორ

ელოდება ის ქმარს შემოსასვლელში.

ქმარი: (საყვარელს) ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ოდესღაც ტელევიზორში მინახიხარ!

საყვარელი: ამ წელიწადნახევრის წინ ცენტრალური ტელევიზიით სიუჟეტი იყო ჩვენს მოფარიკავთა კლუბზე და კადრში, მგონი, ყველაზე დიდხანს ეჩანდი.

ქმარი: ალბათ იმიტომ, რომ სხვებზე უფრო ფოტოგენური იყავით, მე კიდევ ფოტოგრაფიული მეხსიერება მაქვს. ეს ამბავი დედაქალაქში თქვენს გადამოსახლებაშდე იყო?

საყვარელი: დიხ.

ქმარი: ყოჩაღი ჩანხართ, ხეირიანად ჩამოსულიც არ იყავით დედაქალაქში, რომ უკვე აქაური საყვარელი გაიჩინეთ!

ქმარი: ვადის. ტელევიზორში ჩანს, როგორ გადიან ის და მეზობელი ბიჭიდან, ისმის შემოსასვლელი კარის გაჯახუნების ხმაც. ქალი და საყვარელი დივანზე სხედან.

ქალი: სიგარეტი მომეცა.

საყვარელი: ზევრი ხომ არ იქნება?!

ქალი: მომეცე, თორემ მაღაზიაში წავალ.

საყვარელი: არსადაც არ წახვალ.

ქალი: ნაველ, გიყიდი სიგარტს და მოვალ იმის დასამტკიცებლად, რომ მაღაზიაში მართლა შემიძლია წავიდე სიგარეტის საყიდლად!

საყვარელი: ჯიბიდან სიგარეტს იღებს, უკიდებს და ქალს უწევდის.

ქალი: ნყალი მომიტანე, თუ შეიძლება და ეს ფორთოხლები მოაშორე აქედან - თუ გინდა ფანჯარაში გადაყარე!

საყვარელი: დეგება, მაგიდიდან ჭიქას იღებს და საშზარეულოში გადის. ტელევიზორი კარიელი შემოსასვლელიდან საშზარეულოზე გადაერთვება - საყვარელი ჭიქას ავსებს. ეკრანზე ისევ სცენა გამოჩნდება. ქალი ერთი ღრმა ნაფაზის შემდეგ სიგარეტს აქრობს. შემოდის საყვარელი, ჭიქას ქალს უწევდის, მაგიდას და გადაბრუნებულ სკამებს წამოაყენებს და ფორთოხლების ავროვებას იწყებს.

ქალი: გაანბე მაგათ თავი, ჩემთან მოდი და მაკოცე!

საყვარელი: ქალთან მიდის, ვერ ხელზე კოცნის, შემდეგ კი ტურქებს.

ქალი: წავიდეთ აქედან შორს, ძალიან შორს!
საყვარელი: ჰო, მაგრამ საკუთარ თავს ვერ გაეცევი!

ქალი: გეყოფა ფილოსოფოსობა!.. წიგმა კი ისევ ისეთია - უგულო, თითქოს ვიღაცამ აიძულა რომ წამოსულიყო. მე კი მინდა, რომ კოკისპირულად წვიმდეს!

საყვარელი: (აპირებს ფანჯარასთან მივიდეს,

მაგრამ აღარ უშვებს) წვიმამ იმეტა, უფროსი და დაეკეტო, თორემ პარკეტი სველდება! (ცალი ხელით თავისთვის სიგარეტს იღებს და უკიდებს).

ქალი: ახლავე წავიდეთ. ავდგეთ და წავიდეთ!

პაუზა.

ქალი: რატომ არაფერს ამბობ?!

საყვარელი: ისევ მდუმარედ ეწევა.

ქალი: ისევ ჭუმადა ხარ, არა?!

საყვარელი: დაწყნარდი, გთხოვ!

ქალი: ის რა, მართლა წავიდა?!

საყვარელი: არ ვიცი!

ქალი: ეტყობა, მართლა წავიდა!... ნაღი, კარა ჩაქეტ!

შემოსასვლელის კარიდან მეზობლის თავი გამოჩნდება.

მეზობელი: მარტო ხართ?... (შემოდის) შემოსასვლელი კარი რატომ არ ჩაქეტეთ?

ქალი: თქვენი ბორში როგორაა?

მეზობელი: შეიძლება არ დაიფეროთ, მაგრამ სწორედ რომ დროზე მივსუნარი. წუთიც რომ დამეგვიანებინა, წვალი ამოშრებოდა და ქვაბი მიწავადდა.

ქალი: რატომ არ უნდა დაიფეროთ - გვეჯერა.

მეზობელი: (მოულოდნელად შესძახებს) უი, დედა, ეს რა დამვიწყდა!

ქალი: სარეცხი, არა?

მეზობელი: თქვენ საიდან იცით?

ქალი: მიგზავდი. ჩემი ქმარით ფიქრების წაკითხვა დავიწყე... ესუბრობ, რა თქმა უნდა. ისე კი, სიმართლედ რომ ითქვას, ზმირად მწევენებოდა, რომ ის ჩემს ფიქრებს კითხულობდა. საბოლოოდ კი აღმოჩნდა, რომ თურმე სულაც არ მერევენებოდა - სინამდვილეში, მართლა ასე ყოფილა. ცოდევა გამხელილი ჯოგია და, მეგონა, რომ სარეცხთან დავაქვშირებით მიიტყუეთ!

მეზობელი: რატომაა, რომ სულ იმის ცდაში ხართ, როგორმე შევარცხყოდა მომაყენოთ?!


ქალი: გული მტკივდა, რომ თქვით, მაშინ ხომ მოიტყუეთ?!

მეზობელი: თქვენ, გენაცვალეთ, პისტოლეტს შეგეფული ბრძანდებოდა, ერთი მე მითხბეთ, როგორ შემეშინდა იარაღიანი კაცის დანახვაზე - მართლა ამტკივდა გული... ნავალ, სარეცხს ჩამოვიღებ... თუმცა, უკვე საშური არაფერია, მაინც ხელმოვირდ მომიჩვენე მათი მანქანაში შეყრა.

ქალი: პოლკოვნიკი მართლა წავიდა?!

მეზობელი: ასე თქვა, ფეხით ჩაუყვებო კიბეებსა და ნახვლის წინ ხელზე მაკოცა.

ქალი: ეგეთები არ შეგეშლება, გალანტური კაცია - გირჩევთ, ცოლად გაჰყვეთ. ისიც, თქვენი არ იყოს, ბორში არც ისე სწყალობს, როიალზეც უკრავს - მათემატიკოსმა მაშიდამ ასწავლა და, ლუდსაც შეგაჩვევო. მეც შემაჩერა. კიდევ შეუძლია, თქვენდამი სიყვარულის დასტურად თქვენთან ერთად წა-



საყვარელი: ვიცი, საყვარელი ქალისთვის მთელს ქვეყნიერებას ომი უნდა გაუმართო, შენს უკან ხიდებიკ უნდა დანება დაუფიქრებლად, მაგრამ მაინც



არადაშიანურად გამოვიდა ყველაფერი, ძალიან სულმდებლურად!

ქალი: გეყო წუნუნი!

საყვარელი: შენ ქალი ხარ, სიყვარულისთვის და ცდუნებისთვის შექმნილი არსება. თავის გასა-მართლებელი მიზეზიც გაქვს - ოცდახუთი წლით უფროსი ქმარი გყავდა. მე კიდევ სულმდებლად გა-მოვდექი!

ქალი: სულმდებლობა შენი ახლანდელი საქცი-ელი უფროა - ნუ წუნუნებ, ბოლოს და ბოლოს!.. დღევანდელი დღე ჩვენი სიყვარულის ყველაზე დი-დი გამოცდა იყო და ჩვენი ის ვერ ჩავაბარეთ... უფ-რო სწორად, შენ ვერ ჩააბარე! (უცებ დგება, იღებს ხელჩანთას და ჩქარი ნაბიჯებით მიემართება შე-მოსასვლელისკენ).

საყვარელი: სად წიდიხარ?

ქალი: სადაც არ უნდა წავიდე, თუ გიყვარვარ, მომიქნები და დამიბრუნებ!

საყვარელი: ეგ რას ნიშნავს?!

ქალი: ესეც თავისებური გამოცდაა!

შემოდის აღელვებული მეზობელი.

მეზობელი: ის იქ არის!

ქალი: პოლიკოვნიკი?

მეზობელი: ქვედა სართულზე, ბეტონის იატაკ-ზე ზის და არაფერს ამბობს. ჩემს სიძესავეთაა, დის ქმარიცაა, როცა თეთარი ციგება ემართება და ეჩვენება, რომ პიანინოს თავიდან თვალი ჩაუკრა ბრინ-ჯაოს პედალსა, ჩემს გაწამებულ დაიკოს რომ ვაწუ-ქე დაბადების დღეზე!

ქალი: ღმერთო ჩემო!

მეზობელი: სახლში რომ მივედი, იქ ყველაფერი სწრაფად მოვარგარე, ჩაიდანა გადავდეგი, ავიღე ჩე-მი ტელეფონი და აქეთ ნამოვედი - სარეცხის ჩა-მოსას ისევ დამაინყდა და ბინიდან გამოსვლისას გამასხენდა, მაგრამ უკან უკვე აღარ მივბრუნებულ-ვარ. ამ ბინის კარს რომ მოუხალოვდი, ქვედა სარ-თულიდან ტელეფონის ზარის ხმა მომესმა. ეგრევე გულმა ცუდი მიგრძო, ჩავედი და ის ვნახე. ხელში ტელეფონი ეჭირა და ერთ წერტილს მიმტერებოდა. ხომ კარგადაა ბართ-მეთქი, იმან გამორთული ტე-ლეფონი ყურთან მიიღო და მიპასუხა, პო, ძვირფა-სო, კარგადაა ვარო. მერე კიდევ ცოტახე, დახმარება ხომ არ გინდათ, რომ თქვენს ცოლთან დაგარეკი-ნოთ-მეთქი. იმან ისევ ტელეფონი მიიღო ყურთან - მე შენთან უკვე აღარასოდეს დაერეკავ და არც შენს ზარებს ვუპასუხებ, ძვირფასოო, თქვა. წყალი ხომ არ მოგიტანოთ-მეთქი, რომ გკითხე, აი, მაშინ დამყა-ბულდა მარტო, ოღონდ ისევ იმ თავის ტელეფონში თქვა, დიარ, ძვირფასო, სხვა მომიტანე, ძალიან დამა-ვალე, უფრო სწორად, თუ ვინმეს გამოაბანე, თუნდაც მეზობელსო, ჩემზე ბრძანა. მოკლედ, ამ შემთხვევაშიც ვითომ თქვენ გელაპარაკებოდათ!

ქალი: ღმერთო ჩემო!

მეზობელი: მანაც მომიტანა წყალი... მითხარით, მისაც, როგორც ჩემს სიძეს, გადაბმულად ლოთო-ბის პერიოდზე ჰქონდა?

ქალი: არა, დაჭრის შემდეგ საერთოდ არ სვამ-და. (რეკავს თავისი ტელეფონიდან).

მეზობელი: მას ურევავთ?

ქალი: გაჩუქდით ბოლოს და ბოლოს!

მეზობელი: მაგრამ თავისი სანუგეშოება და ანი შეუძლია მიბრძანდეს - გავიგეს ჩემგან ყველა-ფერი რა და როგორ იყო და უკვე აღარა ვარ საჭო-რო! (ნაუწყნი მეზობელი წახვლას აპირებს).

ქალი: თქვენი ფორთოხლები აკრიფეთ.

მეზობელი: იცით რა, ხელმეკრულებას ვაუქმებ - ბინა დამიცავლით!

ქალი: დაგვიცლით. ჩვენ მაინც სხვაგან ვაპირებ-დით გაბახვლას!

მეზობელი: ძალიან კარგი!.. ესენი აქ იყოს და თქვენი ფორთოხლები მომცით!

ქალი: რატომ ვითომ?

მეზობელი: იმიტომ, რომ თქვენები სუფთებია, ესენი კი მე თქვენს გამო დამიცვივდა იატაკზე!

ქალი: ისევ არ პასუხობს!

მეზობელი: ჩემი ტელეფონიდან დარეკეთ!

ქალი: ბარემ პირდაპირ მთხოვეთ მისი ტელე-ფონის ნომერი, რომ ხვალ-ზეგ გადაურეკოთ და შეხვედრას სთხოვით!

მეზობელი: თქვენისთანა კი არა ვარ!

ქალი: (საყვარელს) წავალ და დაველაპარაკე-ბი.

საყვარელი: მეც შენთან ერთად ნამოვალ.

ქალი: შენმა გამოჩენამ შეიძლება ყველაფერი გააფუტოს - აქ დარჩი. (კოცნის) პირობას გაძლევ, რომ მალე დაბრუნდები. (მეზობელს) აქ იყავით და თუ თქვენმა მდგომარეობა ჩემი დაღვენება მოინდომა, არ გაუშვათ!

მეზობელი: მე სახლში მივდივარ!

ქალი: ძალიან გათხოვე, ახლა მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ჩემი დახმარება! (მეზობლის დუმილს თანხმობას ნიშნავს). აბა, წავედი!

მეზობელი: თუ რამე, ტელეფონზე დარეკეთ.

ქალი: (საყვარელს) თუ რამე, მე შენ დაგირე-კავ.

მეზობელი: (ქალს) წყალი ნაუღეთ პოლიკო-ვნიკს!

ქალი: სისულელეს ნუ ლაპარაკობთ!

ხელჩანთას დივანზე ადევნს და მიდის. საყვა-რელი სიგარეტს უკიდებს, ეწევა.

მეზობელი: ფორთოხლების აკრეფაში მომე-მართე, თუ შეიძლება!

საყვარელი: მოაწყინეთ უკვე ყველას თავი მაგ თქვენი ფორთოხლებით!

მეზობელი: ნუ უბეშობთ, უბრალოდ მინდოდა რაიმე დამეკავებინეთ, რომ დამშვიდებულიყავით და წასვლაზე აღარ გეფიქრათ!

საყვარელი: მაპატიეთ, თუ შეიძლება! (მეზო-ბელს ხელზე კოცნის). ახლა კი წავალ!

მეზობელი: არსადაც არ წახვალთ! (გზას უღო-ბავს) არ გაგიშვებთ. თუ საჭირო იქნება, თქვენი საყვარელი დაგირეკავთ!

საყვარელი: გამიშვით! (ისევ კოცნის მეზობელს ხელზე).

მეზობელი: ახლა რომ დაფიქრდი, მართლა დი-დი ხანი გასულა, რაც ჩემთვის ხელზე არ უკოცნი-



ათ... პოლკოვნიკმა ც მკოცა!

საყვარელი: ახლა კი გამიშვით, ლამაზო ქალბატონო!

მეზობელი: ახლა კი უკვე ამკარად მამებლობთ, მართლაც რომ სიმპათიური და ბერძნულპროდილიანო ბატონო მოფარიაკვე ლექტორო!.. მოჭადრაკეც!..

ისმის გასროლის ხმა.

მეზობელი: ღმერთო ჩემო, რა იყო ეს?!

საყვარელი: მგონი, პოლკოვნიკმა გაისროლა!

საყვარელი გადის. აღელვებული მეზობელი სკამზე ჯდება, პერე არ ჰყოფნის, ინიავებს.

მეზობელი: მუხლები მომეცითა!.. ვიცოდი, რომ მთელი ეს ამბავი გასროლით დამთავრდებოდა!.. ჩემი სამოთახიანის ყოფილ დიასახლისსაც ჰყავდა საყვარელი - სულს ლევდა, ისე უყვარდა, ღამეები არ ეძინა, ტელევიზორი კი არადა, მთელი მანქანა უყავდა თურმე, ქმრის მოწამვლაც უნდოდაო ზე არაქალს!.. ღმერთო, ნუ შემშლი ჭკუიდან და ყველაფერი უსისხლოდ დაამთავრე!

მეზობელი პირფარას იწერს, დგება და გადის. ტელევიზორში ცარიელი შემოსასვლელი გამოჩნდება. ჩაბოვარდნილ სიჩუმეში კიდევ ერთი გასროლის ხმა ისმის. გასროლის შემდეგ ტელევიზორი ისევ სცინავს გადართობა. პაუზის შემდეგ შემოვლის მეზობელი.

მეზობელი: (მოთქმით) მოკლეს, დოცენტი მოკლეს!.. ხელზე მკოცნიდა სულ რაღაც ხუთი წუთის წინ!.. ცოლი რომ დაინახა, პოლკოვნიკმა, თურმე თავის მოკვლა დააპირა, მაგრამ ამ ბოზმა მოასწრო და პისტოლეტზე ხელი აუკრა; მერე იარაღის წარმოშვაც დაუპირა, ოღონდ ძალა არ ეყო. ამასობაში დოცენტიც მოუსწრო და საყვარელს ეხმარებოდა. პოლკოვნიკი კიდევ სულ იმას ცდილობდა, რომ პისტოლეტი ისევ საფეთქელთან მიეტანა. დოცენტს ვუთხარი, იარაღი დამცველზე დააყენეთ, რომ შემთხვევით არ გავარდეს-მეთქი. დამცველზე ის დასველები პისტოლეტი მანადე იმ ჭიდაობა-ჭიდაობაში პოლკოვნიკის ცოლს დაეყენებდა ქმრის შეუმჩნევლად, ხოლო დოცენტს, ჩემი რჩევის შემდეგ, რომ ფიქრობდა, ჩავკეტე იარაღიო, პირიქით უქნია და უნებურად საბრძოლო მდგომარეობაში მოუყვანია!.. პოლკოვნიკმა, დარწმუნებული ვარ, რომ შემთხვევით გაისროლა!.. თვალუბში მეეტყო ეს ამბავი!.. ადამიანის თვალები, განსაკუთრებით კი მაპაქაცია, არასოდეს იტყუებიან, იმიტომ, რომ კაცები განსაკუთრებით უნიკო მსახიობები არიან! (ისევ ინიავებს) მე ხომ, ჩემი ზიქი რომ უყურებდა იმ კინობიდან თუ ვიცოდი, რას ნიშნავს ეს დამცველი ცეცხლსასროლ იარაღებზე!.. მე მხოლოდის მიხედვით, რომ არავინ დაზიანებულიყო!.. (გულუზი იკიდებს ზელს, ჯდება დივანზე) ამასობაში, მართლა ამტკიცდა გული!.. ხომ უნდა იცოდეს მაპაქაცმა, სამჯერ დაბნეული და დარტყმული დოცენტიც

რომ იყო, ისეთი ელემენტარული რამ, თუკი უკვე პისტოლეტის დამცველია?!.. მომიტანოს ყინული და ღიადი, ან წყალი მაინც მომანადოს!..

შემოვლის ქალი, მიდის სამზარეულოსკენ.

მეზობელი: სად მიდისარა?

ქალი: სამზარეულოში, დიდი დანა მინდა, პოლკოვნიკი უნდა მოუკლას!.. აქ დამსხვებო იყო, მაგრამ დოცენტმა წაიღო და თავის მოსანადგეებს დაურიგა!.. ეგეთი კეთილი იყო - ძალიან კეთილი!

გადის სამზარეულოში. შემოსასვლელზე გადართულ ტელევიზორში ჩანს, თუ როგორ გამოჩნდება იქ ქმარი. ის შემოდის ოთახში პისტოლეტით ხელში, რობოტიკით მოძრაობს - ამჯერად არ კოჭლობს. ტელევიზორი ისევ სცინავს გადართობა.

ქმარი: სად არის ჩემი ცოლი?!

მეზობელი: არ ვიცი!

ქმარი: როგორ თუ არ იცით, ის ხომ აქეთ წამოვიდა?!

მეზობელი: აქ არ შემოსულა!

ქმარი: სააბაზანოში ხომ არ დაიბაღა?

მეზობელი: არა. შემოძლია დავიფიცოთ, რომ სამზარეულოში არ დამალულა!.. ნუ მესვრით. მე ხომ შევიღმელები მომენტარულად სიკვდილზე და არ მინდა სიკვდილი!

ქმარი შეტრიალდება და გადის. სამზარეულოს კარში ქალი გამოჩნდება.

მეზობელი: აქ თქვენი ქმარი იყო და გეტყვამო!

ქალი: შენი ბრალია ყველაფერი, შე კანალიზაციის ვირთხაც, შენა!

ქალი გადაწყვეტს, მეზობელს გაუხსნოდეს. ეს უკანასკნელი იატაკიდან რამდენიმე ფორთოხას იღებს და ამჯერად თავდასხმის მოსაგერიებლად ეშვადება. ტელევიზორში ჩანს, თუ როგორ შემოდის შემოსასვლელში ქმარი, ქალი შეტევაზე გადადის, მეზობელი ფორთოხებს ესვრის. შემოდის ქმარი, კარიდან ორიოდ ნაბიჯის შემდეგ ჩერდება. კადრი ტელევიზორში თითქმის შემოსასვლელზე იყინება.

ქმარი: სასიკეთოლო სამკუთხედში ჰიპოტენუზის კუადრატის კათეტების კვადრატების ჯამის ტოლია! (ქალს) მოთხარი, ძვირფასო, წუხელ ღამით ყვავები ხომ არ გესიზმრა?!

ქალი: მკვლელო, დააგდე იარაღი!

ქმარი: მამაკტი, საყვარელი!.. მამაკტი და ღამე ნებისა უსურვე შენს მამილოს!

ქმარი პისტოლეტს საფეთქელთან მიიღებს, გაისვრის, იატაკზე ეცემა, კვდება.

ტელევიზორის ეკრანი ქრება. ორიოდ წამში ისევ აინთება და ანტენიდან განართულივით უგამოსახულებოდ მუშაობს, შიშინებს.



ქალი: პირდაპირ ჯოჯოხეთისკენ მიეძახება უკვე შენი სული, პოლოკოვნიკო! (მუხლებზე ეცემა და ამ მდგომარეობაში შემოსასვლელისკენ მიიწევს). შენთან მოვდივარ, ჩემო ძვირფასო მოფარიკავე!

მეზობელი: ცუდად ხომ არა ხარ, წყალი ხომ არ მოგატანათ?

ქალი: უხ, შე კუდიანო, შენი ბრალია ეს ყველაფერი!

მუხლებზე მდგარი ქალი ისევ უკან შეტრიალდება, ქმრის სიახლოვეს დადგებულ პისტოლეტთან მიიზრუნს და მეზობელს უმიზნებს.

მეზობელი: მე მხოლოდ წყლის მოტანა მინდოდა თქვენთვის! (ისიც ეცემა მუხლებზე, ხელებს მაღლა წევს). არ გინდათ, უკვე მართლა მტკივა გული!

ქალი დგება, მიდის მეზობელთან, უნდა რომ ესროლოს, მაგრამ გამბედაობა ღალატობს. სახეზე ხელს აიფარებს და ტირის. მეზობელი უჩვეულო სიმარდეს ავლენს, ქალს პისტოლეტს გამოსტაცებს, დგება. ქალი, მოეგება რა გონს, ახლა უკვე უიარაღოდ იწევს შეიარაღებული მეზობელზე. ის უკან იხებს.

ქალი: აგაუნა!

მეზობელი: დანა არა გაქვთ, დაგავიწყდათ სამზარეულოდან მისი გამოტანა!

ქალი: მაინც აგაუნა!

მეზობელი: არ გინდათ, გთხოვთ!

ქალი ისევ მეზობლისკენ მიიწევს, ის კი ისევ უკან იხებს, სანამ ზურგით კარადას არ დაეჯახება. სწრაფად ალებს კარადის კარს, შედის შიგ და კეტავს კარს.

მეზობელი: (კარადიდან, გვირილით) თავი დამანებეთ!

ქალი კარადის კარს ალებს, მეზობელს თავიდან პარკს ააგლეჯს და უკან მოისვრის. მეზობელი თავში წაივლებს ხელებს, რა დროსაც პისტოლეტი უფარდება. იარაღს მამინვე ქალი ეუფლება.

მეზობელი: პისტოლეტში ვაზნები არ არის, დამთავრდა!

ქალი: ახლავე შევამოწმებ!

მეზობელი: ოღონდ ჩემზე არ შეამოწმოთ, შეილიშვილები მომენატრნენ ძალიან!

ქალი სახლელტს გამოჰკრავს, მაგრამ პისტოლეტი არ ისვრის. ქალი მის გადატენვას ღაბობს, მაგრამ აკანკალებული ხელებით არაფერი გამოსდის.

ქალი: გაგიმართლა, ვირთხა! (გატრიალდება და შემოსასვლელისკენ მიდის) მოვდივარ უკვე, ძვირფასო, მაღ შენთან ვაგზნდება! (შუა გზაზე ჩერდება, პისტოლეტს ქვასავით ესვრის კარადიდან გამო-

სულ მეზობელს, ააცილებს). უხ, შენა! ესეც გაუმართლა!.. დავცხრილავ ამ კუდიანს!

მეზობლისკენ მიდის. ის იატაკიდან პისტოლეტს აიღებს, კარადაში შეადგებს, კარს კეტავს, თვითონ კარადის წინ დგას - გადაუწყვეტია, რადაც არ უნდა დაუფდეს, ქალი პისტოლეტამდე არ მიუშვას. ქალი შედგება. მემდეგ შემოიღილი სახით სვლას განაგრძობს. შემოიღებული მეზობელი კარადის კარს ალებს, იქიდან პისტოლეტი გამოაქვს და ქალს უმიზნებს. ის გზას აგრძელებს.

მეზობელი: არ მომიკაროთ!

ქალი: შიგ ვაზნები არ დევს, პრიყვო!

მეზობელი სახლელტს გამოსწევს - არ გაისვრის. უცებ მეზობელი იარაღს გადატენის და ისევ ქალს უმიზნებს. ისმის გასროლის ხმა. ქალი მუცელზე იკიდებს ხელებს, ღონემიხდლი მუხლებზე ეცემა.

ქალი: მე რა, ვუდები?

მეზობელი: არ ვიცი, მე არაფერი ვიცი!.. კინოებში რომ იყი ისე გადატენვს ეს ოხერი!

ქალი ეცემა, კედება. შეშინებული მეზობელი უცებ ფანჯარასთან მიიზრუნს, პისტოლეტს ქუჩაში გადაუშვანებს. ქუჩიდან ისმის კიდევ ერთი გასროლის ხმა, რასაც იმავე წამს ტყეა-ქუხილის ხმაც ერთვის.

მეზობელი: (ქალს) ადექით თუ შეიძლება! (ცხვირით მიდის) გეყოთ თავის მომკვდარუნება, ადექით! (ბედავს და ფეხის წვერით ქალის ფეხს შეაძრევს). თქვენ რა, მართლა მოკვდით?

მოულოდნელად ფორთოხლების აკრეფას იწყებს, მათ თავისი კაბის კალთაში აკრეფებს. საქმეს რომ მორჩება, შემოსასვლელში შერბის. მამინვე ბრუნდება, ფორთოხლებს დივანზე ყრის. მირბის საბაზზანის კართან, მის სახელურებს კაბის კალთით წმენდს, შემდეგ წმენდს მაგიდაზე დადგმულ ჭიქასაც. ბრუნდება დივანთან, ფორთოხლებს ისევ კაბის კალთაში იყრის.

ქალი: მგონი ფორთოხლებზეც შეიძლება თითების ანაბეჭდები დარჩეს!.. ეს რა სულელი ვარ ღმერთო - სხვა კარსაც ხომ შევეხე მე უბედურო?

გამწარებული მორიგეობით შესცქერის საშხარეულოსა და შემოსასვლელის კარებს. ქალის ჯიბეში ტელეფონი იწყებს რეკავს. მეზობელი შეკრთება, მიდის შემოსასვლელის კარისკენ. რეკავს საყვარლის ტელეფონიც, რომელიც მაგიდაზე დევს. ამჯერად მეზობელი ადვილზე იყრნება.

მეზობელი: ესენი რა, ერთმანეთს ურეკავენ?

თითქმის მხოლოდ ახლა აცნობიერებს იმას, რომ მკვლელობა. ისმის ადამიანების შორეული ხმა - ესენი სხვა მეზობლები არიან, რომლებმაც, როგორც



ინა, გაბედეს და გადაწყვიტეს გაიგონ, თუ რაშია საქმე. მეზობელმა არ იცის რა ქნას. ბოლოს ფორთოხლებს იატაკზე ყრის და მათ ისე დაჰყურებს, თითქმის პირველად ხედავდეს. ხმები ახლოვდება.

მეზობელი: (ხმადაბლა, თითქმის ტექსტის წარმოთქმაში ვარჯიშობს) მიშველეთ, ხალხო, ამათ აქ ერთმანეთი დაბოცეს!

ერთი წამით ჩაფიქრდება, შემდეგ თავზე ხელებს იტაცებს - გააფრთხილები მოიგლეჯს პარკს და წერფულად კუჭას მას.

მეზობელი: ჩემი თითის ანაბეჭდები, იქ, ჯეშმოთაც!... ფოჯორზეთშიც დამწერსარ პოლკოვნიკო, შენი პისტოლეტითა და რქებით!... ღმერთო, შენ მიშველე! (პირფარს იწერს). თუმცა, არა, წვიმა თითის ანაბეჭდებს წაშლის პისტოლეტზე (ყვირის) მიშველეთ, ხალხო, ამათ აქ ერთმანეთი დაბოცეს, მე კიდევ პისტოლეტი ფანჯარაში გადავაგდე, ასე რომ, ნუ გეშინიათ, თამამად შემიდით!

იხურავს პარკს. ბოლოს ნათქვამ ფრაზას ისევ იმეორებს. ტელევიზორში სცენა გამორჩდება, ოღონდ ცარიელი - მეზობლისა და ცხედრების გარეშე. ცოტა ხნის შემდეგ ჩაქრება ტელევიზორის ეკრანი. ქრება შუქიც, იხურება ფარდა.

პაუზის შემდეგ ფარდა ისნება. ჩანს ისევ ის ოთახი და გარემო, რაც სპექტაკლის დასაწყისში იყო. ისევ ისე მუშაობს ტელევიზორი - იქ სცენა ჩანს იმავე რაკურსიდან, როგორც ეს წარმოდგენის დასაწყისში იყო, ოღონდ ზოგჯერ სიგნალი ქრება და მაშინ ტელევიზორი შიშინს იწყებს, აშკარად გაცილებით უფრო ხმადაბლა. ისევ ისე (ი. ი.) შემოდის ქალი სასვე პარკებით, რომელთაც მაგიდაზე აწყობს, ხელჩანთას კი დივანზე აგდებს. (ი. ი.) მიდის ფანჯარასთან, აღებს. პარკები სამზარეულოში გაატყეს. მრუდდება, მიდის საწერ მაგიდასთან, თითქმის მისი მოწესრიგება გადაუწყვეტია, მაგრამ ამასთანავე უშინია, რომ ამის გამო პატრონი გაუფაჯრდება. მაგიდიდან იღებს ხაფერფლეს, მიდის დივანთან, ხელჩანთიდან იღებს სიგარეტის კოლოფს. (ი. ი.) დგება ფანჯარასთან, ეწევა, გარეთ იყურება. (ი. ი.) შემოდის ვაფაიცეცხული საყვარელი ილიაში ამორჩილი პორტფელით, დაბნეულად შესცქერის ქალს.

საყვარელი: შემოსასვლელი კარი შემოვლებული დამხვდა და ვიფიქრე, რომ ბინაში ქურდი შემოიპარა!

ქალი: ეტყობა, ვერ მიგვეტე როგორც საჭირო იყო - ხელები მქონდა დაკავებული. ეგრე მორიდან რომ შემომყურებ, არ გინდა მოხვიდე და გულში ჩამიკრა?!

საყვარელი მიდის ქალთან და ეხვევა. ქალი პორტფელს გამოკლავს და მორიდან დივანისკენ მოისვრის. ერთმანეთს ვნებიანად კოცნიან.

ქალი: რომ იცოდე, გუშინდელს მერე როგორ

მომენატრე. გამდლობთ, რომ დროზე დაგმეცხვინებოდა! მე შენი მოფარევეები და ჩემზე განმჯავრებელი საყვარელი: ამ ახალი გარცხნილობით თავიდან ვერც კი გიცანო.

ქალი: მინდოდა შენთვის სიურპრიზი გამეყეთებინა. არ მოგწონს?!

საყვარელი: პირიქით, ძალიან მომწონს - კლეოპატრას გავხარ.

ქალი: მომწონს, რომ კლეოპატრას შეძანი, აღმაგზნებს!

საყვარელი: კლ ეო პ ა ტ რ ა!

ქალი: იცო, სიზმარი ვნახე, თითქმის შე და შენ ამ ოთახში შემოვედი, ამ საუარძელში კი...

საყვარელი: (აწყვეტილებს) ამ საუარძელში კი შიგელი ქალი იჯდა, ეთქვათ და, ჩემი კათედრის გამგის ქალიშვილი, რომელმაც უტიფარი ღიმილით გითხრა, რომ ჩემი გული მთლიანად მას ეკუთვნის!... რაბიარე ხომ არ მოგიქმნია?

ქალი: ვაფასებ შენს იუმორს, მაგრამ, საუარძელში ძალი იჯდა!

საყვარელი: ძალი?!

ქალი: მო, ძალი. ჩვეულებრივი ძალი!

საყვარელი: და რა შუაშია აქ ძალი?

ქალი: არ ვიცი. შეიძლება იმ შუაშია, რომ მე თვითონ ძალიან მინდა ძალის ყოლა.

საყვარელი ისევ კოცნიან ერთმანეთს.

ქალი: შენ ახლა მიცვივით გეშინება.

საყვარელი: კიდევ უფრო უარესად, ჩემო კლეოპატრა!

ქალი: ვეციფდები, როცა მშვიდი ხარ. ახლა მე შენ კარგად გასაადიდებ!

საყვარელი ქალს ხელზე კოცნის, ის კი პასუხად საყვარლის ხელისგულს ლოყავს მიიღებს და ნეტარი ღიმილით ილიმება.

ქალი: (საყვარელს) მინდა, რომ მხოლოდ შენ გეკუთვნოდე, შენ და სხვა არავის... მინდა, ვიღვიძებდე შუალამეს, შენი სუნით ვძვლებოდე და ისევ ვიძინებდე... წავიდეთ, რა, აქედან სადმე შორს, ძალიან შორს, სადაც ბედნიერები ვიქნებით!

შემოდის მეზობელი - ხელში პარკი უჭირავს.

მეზობელი: ოი, უკაცრავად, უდროთ დროს კი შემოგვეტყობი, კარი იყო ღია და ვიფიქრე, ქურდი ხომ არ შემოიპარა-მეთქი.

ქალი: (საყვარელს) არც შენ დაგიკეტავს კარი?

საყვარელი: კარის დაკეტვა მახსოვდა კი არა და, ხომ გითხარი, მეც ქურდი მეგონა შემოპარული-მეთქი.

მეზობელი: კარგით, მე წავალ.

ქალი: დიდი მადლობა ყურადღებისათვის.

მეზობელი: არაფრის... იცით, ძალიან უხედბით ერთმანეთს, მინდა ბედნიერები იყოთ.

ქალი: გამადლობთ.

მეზობელი: ფორთოხას დაგიტოვებთ, პირს გაისვლებთ შიგადაშიგ (ეშმაკურად ილიმის).

ერნაშტაგია
საქართველოში
საქართველოში

ქალი: არა, გმადლობთ, მეც მოვიტანე ფორთოხალი.

მეზობელი: მაშინ, ნახვამდის - უნდა გავიქცე, ქურაზე ბოროტი მაქვს დატოვებული და, მგონი, ჩაიდნის გადადგმაც დამავინწყდა წამოსვლის წინ. კარს მე გავიკეტავ.

ქალი: ნახვამდის.

საყვარელი: კარგად ბრძანდებოდეთ.

მეზობელი გადის. შემოსასვლელზე ვადართულ ტელევიზორში ჩანს, როგორ შეყვინდება ის ბინაში შემოსასვლელ კართან, ოთახისკენ გამოიხედავს - თითქოს მიყურებდა გადაუწყვეტიაო, მოულოდნელად კამერასაც შეხედავს რამდენიმე წამით, შემდეგ კი გატრიალდება და გადის, კარს კი დაპირებინაშებურ, მიიკეტავს.

ქალი: (საყვარელს) მიდი რა, კარი ურდულზე ჩაიკეტა.

საყვარელი გადის. ტელევიზორი სცენაზე გადაერთვება. საყვარელი ბრუნდება.

საყვარელი: კარი ურდულთ ჩაკეტივ, ვერაინ შემოვა!

ქალი: ძალიან კარგი. უი, რა გამახსენდა - შენი დიასახლისის ძაღლმა ხომ ახლახანს წერილი წაიღო?

საყვარელი: ჰო, წაიღო!

ქალი: ეგ შეჩვენებული, ყოველთვის ჩვენთვის შეუფერებელ დროს აყვადებოდა ხოლმე - ყველაზე საბასუსისმგებლო მომენტში, და რამდენიმეჯერ კარგი სექსი წავიფლავა!

საყვარელი: ჰო, მაგ მხრივ კი მართლა დავისვენეთ!

ქალი: იცი, ახლა რა გავიფიქრე - ეგ შენი დიასახლისი ხომ არ გვაყურადებს, როცა ერთმანეთს ვეფერებით?!

საყვარელი: კარგი ერთი, სერიოზული ქალია, სოლიდურ ასაკში!

ქალი: რა იცი, სერიოზულობისა და სოლიდუ-

რობის მიუხედავად, კედლები თხელავს, ცხოდ ცხოვრობს!

საყვარელი: და შენ მაგის ძალი ხომ არ დავს-სიზმრას?

ქალი: არა, ეგ არ იყო!.. ჯანდაბას სიზმარი. აბა, ახლა, სამშარეულოსკენ პერი-პერი.. ვანა არსებობს იმაზე დიდი პედნიერება, ვიდრე შენთვის უფორვასესი მამაკაცის დაპყრებაა?!

ქალი საყვარელს ხელს ჩასჭიდებს, სამშარეულოსკენ მიემართება.

კართან შედგებიან და ერთმანეთს კოცნიან. მოულოდნელად სამშარეულოდან ჩაიდნის სტვენის ხმა ისმის. ქალი დაფრთხება.

ქალი: ან ჩაიდანს მოხსენი სასტენი, ან მე თვითონ მოვიცერი მაგ ჩაიდანს ფანჯრიდან!

საყვარელი: ამ ახალ ვარცხნილობაში გაბრაზებაც გისდება, ძვირფასო, მაგრამ ძალი მაინც რამ დაგასიზმრა?!

ქალი და საყვარელი სამშარეულოში შედიან. ტელევიზორი სამშარეულოზე გადაერთვება, მაგრამ იქ აღარავინაა - ქურაზეც კი არ დგას ჩაიდანი. თანდათან ქრება შუქი. ბინდუნდში ტელევიზორი ისევ ცარიელ სცენაზე გადაერთვება, ოღონდ ეკრანზე ისე ჩანს, თითქოს სცენაზე ქალი და საყვარელი არიან (რომლებიც სინამდვილეში იქ აღარ იმყოფებიან): ისინი ერთმანეთის პირისპირ დგანან; საყვარელი ქალს ხელზე კოცნის, ის კი პასუხად საყვარელის ხელს იღებს, ლოყასთან მიიღებს და სახეზე ნეტარი ღიმილი გადაეფინება (უკვე ნაცნობი სცენა); (ი. ი.) შემოდის ქმარი. რამდენიმე წამის შემდეგ, როცა ის რალაცის თქმას დააპირებს, ეკრანიდან გამოსახულება ქრება და ტელევიზორი ხმაბლდა შიშის იწყებს.

ეკრანი ქრება.

ბოლომდე ქრება შუქიც.

ფ ა რ დ ა



ნა პერიკლაზა ყოფილიყო თქვანი რაქლაზა

არქივული
გამოცემები

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge

86/16

